საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოლševური სიფლეა, ტყვილებით და ჯობებით პირთის გაფანა ყველა უკიდურესობაზე უსაძაგლესია.



სამშაბათი, 25 მაისი, 2010 წელი.

№96 (6462)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის ცენტრი



ერთ წელიწადში თბილისში 50 ათასი ადამიანი დასაქმდება

2

რამდენად სანდოა ირაკლი ალასანიას დაპირებები?



3

რამაგ საყვარელიძე:

საზოგადოებას ხელისუფლებისთვის მებრძოლი ოპოზიციის პოვნისა და ფორმირების ამოცანა უდგას

- ვინ გაანადგურა სოფიო ხორგუანის საარჩევნო პლაკატები?
- ბანკის თანამშრომელს ფულს სძალავდნენ
- ემიგრანტებს იწვევენ და... ატყუებენ

მეროგის კანდიდატები სტუდენტების

2

პირისპირ

სააკაშვილი მოამავალი პრეზიდენტისთვის ადგილს აბევებს

8

5

დახვრეტილი ბერ-მონაზვნის თევდორე ჩიხლაძის ცოლყოფილს ქონება წაართვეს და გაასხვისეს

უსამართლო სამართალი

რამდენ თავსატეხს იტევს გულიკო ერისთავის საძმის თოთხმეტი ტომი?

5

მამუკა არეშიძე:

თუ საქართველო მსოფლიოში არსებული არეულობის ფონზე რუსეთთან დიალოგის დაწყებას ვერ მოახერხებს, დავიღუპებით

3

„რელიგიურ ფასეულობებზე შეტევის ტენდენცია ეროვნული უსაფრთხოების თემას უკავშირდება“

◎ შეხვედრა

მერობის კანდიდატები სტუდენტების პირისპირ



არჩევნები კარს მოგვადგა, ამიტომ ეს ბოლო ერთი კვირა ყველაზე დატვირთული იქნება მერობის კანდიდატებისთვის, რადგან მათ მაქსიმალურად მცირე დროში უნდა მოასწრონ ხალხის რაც შეიძლება მაღალი ნდობის მოპოვება. მათი შეხვედრებიც მოსახლეობასთან და საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტთან გაცილებით ინტენსიური გახდება.







ამ წინასაარჩევნო გაწამაწიაში სტუდენტები კინაღამ გამორჩათ, ამიტომ ხელიდან არ გაუშვეს შანსი, რომელიც მერობის კანდიდატებს გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრმა მისცა, როცა ორგანიზება გაუწია უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისა და მათ შეხვედრას გუშინ, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ ხუთი უმაღლესი სასწავლო დაწესებულების სტუდენტები, რომელთა შორის ჩატარებულმა გამოკითხვამ (300 სტუდენტი) გამოავლინა ის ოთხი მერობის კანდიდატი, რომლებთანაც შეხვედრას ყველაზე მეტად ისურვებდნენ სტუდენტები. ესენი იყვნენ ირაკლი ალასანია, გოგი თოფაძე, გია ჭანტურია და გიგი უგულავა. ეს უკანასკნელი გუშინ გამართულ შეხვედრაზე არ გამოცხადებულა, რამაც სტუდენტთა უკმაყოფილება გამოიწვია. სამწუხაროდ, გიგი უგულავამ სტუდენტების ტყავში შეძრომა არ ისურვა, ეს ცუდად აისახება მის რეიტინგზე არჩევნებში. — აცხადებდნენ სტუდენტები. თუმცა სულაც არ არის გამორიცხული, რომ მოქმედი მერი მათაც შეხვდეს, ოღონდ ცალკე, ისეთ გარემოში, სადაც მას კონკურენტების გვერდით არ მოუწევს ჯდომა და მოსალოდნელ ექსცესებსაც აიშორებს თავიდან.

მართალია, ახალგაზრდა ამომრჩევლებს ყველაზე მეტი შეკითხვა გიგი უგულავასთან ჰქონდათ, მაგრამ არც დანარჩენი სამი კანდიდატი დაუტოვებიათ გულდაწყვეტილი. მას შემდეგ, რაც მერობის კანდიდატებმა თავისი საარჩევნო პროგრამები გააცნეს სტუდენტებს, შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

„ალიანსი საქართველოსთვის“ თბილისის მერობის კანდიდატმა ირაკლი ალასანიამ მისთვის მთავარ პრობლემად ის უპერსპექტივობა დაასახელა, რომელიც დასაქმებას უშლის ხელს. მისი მტკიცებით, ამ პრობლემის დაძლევა შესაძლებელია და ქვეყანაში ბიზნესის ხელშეწყობა პრობლემის გადაჭრის საფუძველს წარმოადგენს.

— ჩემი მთავარი კონკურენტი არის ის უიმედობა და უნდობლობა, რომელიც საზოგადოებაში არსებობს. დღეს მთავარ კონკურენტს დამარცხებულად მივიჩნევ, რადგან ამომრჩეველთა უმრავლესობა არჩევნებზე მისვლას აპირებს, დანარჩენი 30 მაისს გამოჩნდება. — განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

მან ასევე ყურადღება გაამახვილა ნარკომანიის პრობლემაზე და აღნიშნა, რომ აუცილებელია სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამის დამუშავება, ნარკომანიით დაავადებული ახალგაზრდების რეაბილიტაცია და სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მეტი ყურადღება.

„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ თბილისის მერობის კანდიდატი გია ჭანტურია იმედოვნებს, რომ თუკი მაისის არჩევნებში სტუდენტების მხარდაჭერაც იქნება, დაპირებული გაზის, დენისა და წყლის სატარიფო პოლიტიკა რეალურად შეიცვლება, მაგრამ სტუდენტებმა ამ დაპირების განხორციელების გზების დაკონკრეტება მოითხოვეს, რამაც გია ჭანტურიას გაღიზიანება გამოიწვია. — ყველა ექსპერტი, რომელიც ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის დანაპირების საწინააღმდეგოს ამტკიცებს, იტყუება! — დასძინა გია ჭანტურიამ და ასეთ ექსპერტებს იმ ხელშეკრულების კარგად წაკითხვა ურჩია, რომლიდანაც პარტიის საარჩევნო დაპირება მომდინარეობს. ამასთან, სტუდენტების შეკითხვაზე, იძებნება თუ არა იგი წითელი ცირკულარით, მერობის კანდიდატმა უპასუხა, რომ ესეც ტყუილია და ისეთი არაფერი გაუკეთებია, საქართველოდან გაქცეულიყო.

„მრეწველები — თოფაძის“ თბილისის მერობის კანდიდატმა გოგი თოფაძემ სტუდენტებთან საუბრისას აქცენტი სოციალურ მდგომარეობაზე გააკეთა და ერთ-ერთ პრიორიტეტად სტუდენტური პრობლემის გადაჭრა დაასახელა. მათ შორის დემოგრაფიული პროცესებისთვის ხელშეწყობა. მისი განცხადებით, ახლად შექმნილი სტუდენტური ოჯახებისთვის თბილისის მერიამ ბინები უნდა გამოყოს.

აი, ასეთია თბილისის მერობის კანდიდატების წინასაარჩევნო სურვილები თუ დაპირებები, რომლებიც სტუდენტებმა მეტნაკლებად გაიზიარეს, მაგრამ გული დასწყდათ, რომ გიგი უგულავამ მათი მოსმენა არ მოისურვა.

მერობის კანდიდატებმა კი სტუდენტებთან შეხვედრა ყველაზე მნიშვნელოვნად შეაფასეს მთელი წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში.

გუშინდელი ღონისძიება პროექტის „სტუდენტების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება არჩევნებთან დაკავშირებით“ ფარგლებში ჩატარდა. ამავე პროექტის ფარგლებში სტუდენტებს უკვე ჩაუტარდათ სემინარი, რომელიც ლიტვის, ლატვიის და უკრაინის წამყვანი ექსპერტების მიერ იქნა ორგანიზებული. სემინარის თემა ადგილობრივი არჩევნები და მისი თავისებურება იყო.

ანა წიწილაშვილი

◎ ინფორმაცია

სანამ სკვერს არ დათვალიერებდა, მამაცნი არ ვიყავით?

თბილისში ვიზიტით მყოფმა ლიტვის სეიმის თავმჯდომარე ირინა დეგუტიენემ ვილნიუსის სკვერი მოინახულა.

როგორც მან სკვერის დათვალიერების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, ქართველი ერი მამაცი ერია, რითაც ლიტველები მოხიბლულნი არიან.

— მოხარული ვარ, რომ საქართველოში ვიმყოფები. ბედნიერი ვარ, რომ ვნახე ვილნიუსის სკვერი. ნამდვილად მამაცი ხალხი ხართ. უამრავი ტკივილი გადაიტანეთ. ბევრჯერ დაგიმარცხებიათ ძლიერი მტერი. თქვენი ქვეყანა დღესაც ერთიანია და წინ მიდის. მოხიბლული ვართ იმითაც, რასაც მიაღწიეთ და რაც გააკეთეთ, — განაცხადა ლიტველმა სტუმარმა.

შეგახსენებთ, რომ ირინა დეგუტიენე ორდღიანი სამუშაო ვიზიტით საქართველოში გუშინ ჩამოვიდა. ის ქუთაისსაც ეწვევა.

ვიზიტის ფარგლებში ლიტველი მაღალჩინოსანი ქართველ კოლეგა — დავით ბაქრაძესთანაც გამართავს შეხვედრას.

აღნიშნულის გარდა, ლიტვის სეიმის თავმჯდომარე სამების საკათედრო ტაძარს და ბავშვთა მენტალური ჯანმრთელობის ცენტრსაც მოინახულებს.

ХА-ЗИЗ-ЗЕО

◎ ეკონომიკური პროგრამა

ერთ წელიწადში თბილისში 50 ათასი ადამიანი დასაქმდება

რამდენად სანდოა ირაკლი ალასანიას დაპირებები?



დაპირება, რომელსაც ასრულება არ უწერია, ან იქნება უარესი, ვიდრე ამჟამინდელი ხელისუფლება ახორციელებს, — ასე შეაფასეს სკეპტიკოსმა ექსპერტებმა „ალიანსი საქართველოსთვის“ ეკონომიკური პროგრამა, რომლის პრეზენტაციაც გუშინ სასტუმრო „თბილისი-მარიოტში“ გაიმართა. გასულ კვირას ეკონომიკური პროგრამა „ეროვნულმა საბჭომაც“ წარადგინა. არჩევნებამდე თითქმის ყველა პარტია გეგმავს იმ პროგრამის წარდგენას, რომლითაც ისინი შემდეგი ოთხი წლის განმავლობაში იხელმძღვანელებენ, რა თქმა უნდა, გამარჯვების შემთხვევაში. პროექტს „თემატური დებატების ორგანიზება პოლიტიკური პარტიების განვითარებისა და ადგილობრივი არჩევნების გამჭვირვალობისთვის“ ფონდი „ღია საზოგადოება — საქართველო“ აფინანსებს.

ირაკლი ალასანიასა და „ალიანსი საქართველოსთვის“ თბილისის ბიუჯეტში პრიორიტეტი მუნიციპალური ჯანდაცვის, სოციალური და დასაქმების პროგრამებია. სამივე კუთხით უკვე დიდი ხანია ექსპერტები მუშაობენ, თუმცა როგორც პროგრამის ხელმძღვანელმა დავით ონოფრიშვილმა აღნიშნა, პროექტი არ არის საბოლოოდ დასრულებული და მან არა თუ შემდეგ თვეებში, არამედ არჩევნებამდეც შეიძლება კორექტირება განიცადოს.

ალიანსის გეგმის მიხედვით — „სამედიცინო მომსახურება ყველა თბილისელს“ მუნიციპალური ჯანდაცვის პროგრამა დაეფუძნება 4 ძირითად კომპონენტს. ყველა თბილისელს“ ეყოლება ოჯახის ექიმი, ექნება სამედიცინო დაზღვევა, იაფი წამალი, ხოლო ბავშვებისა და ხანდაზმულებისთვის წამალი იქნება სრულიად უფასო. ამასთანავე, ორსულობის პერიოდი და მშობიარობა დაფინანსდება სახელმწიფო ხარჯებიდან. თბილისის 6 წლამდე მოსახლეობა 65 ათასი კაცია, ხოლო 65 წელს ზევით ასაკის მოსახლეობა — 150 ათასი, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების პაკეტით დასაზღვევია 600 ათასი ადამიანი. „ჩვენ თბილისის ბიუჯეტიდან, თბილისელთა სამედიცინო მომსახურებისთვის გამოვყოფთ 117 მილიონ ლარს, არსებული 33 მილიონის ნაცვლად“, — ირწმუნებიან ალიანსელები.

ალასანიას სოციალურ პროგრამაში მითითებულია, რომ „საქართველოს დღემდე არ აქვს დეკლარირებული და დაკანონებული სოციალური კონცეფცია და პოლიტიკა. აქედან გამომდინარე, რეფორმები ხორციელდება ქაოტურად და უსისტემოდ. თბილისში ყოველი მეოთხე ადამიანი ღარიბ-ღატაკია. 2010 წლის თბილისის სოციალური ბიუჯეტი კი 120 მილიონი ლარია, საიდანაც 67 მილიონი, ანუ 56 პროცენტი გაუმჭვირვალეა“. ალიანსის გამარჯვების შემთხვევაში კი მიზნობრივი პროგრამების საფუძველზე ბიუჯეტი ღია იქნება. გაგრძელდება პენსიონერთა სახელმწიფო პენსიაზე დანამატის დაფინანსება — 100-ლარიან დანამატს მიიღებენ ზამთარში კომუნალური ხარჯების გასასტუმრებლად. თბილისში მცხოვრები დევნილები 50-პროცენტიანი ფასდაკლებით ისარგებლებენ ტრანსპორტით მგზავრობისას, ხოლო სილარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი დევნილები დამატებით მიიღებენ ყოველთვიურ 10-ლარიან შემწეობას. ასეთივე შემწეობით ისარგებლებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ომის ვეტერანები, მარჩენალდაკარგულები, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობისთვის მებრძოლები. სამ და მეტშვილიან ოჯახებს ექნებათ ერთჯერადი მატერიალური დახმარებები მე-3 შვილზე — 800 ლარი, მე-4-ზე — 1000 ლარი და ა. შ. ყოველ მომდევნო შვილზე 500 ლარით მეტი.

რაც შეეხება თბილისელთა დასაქმებას — „ოცი ათასი ახალი საოჯახო და მცირე საწარმოო თბილისს“, ალიანსის ექსპერტთა ჯგუფი დიდ იმედებს ამყარებს საოჯახო და მცირე ბიზნესის განვითარების ფონდის შექმნაზე. ფონდში აკუმულირდება სახელმწიფო სახსრები, ხოლო სახსრების გაცემა მოხდება რამდენიმე მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მეშვეობით საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ შესაბამისად ჩატარებული ტენდერის საფუძველზე. ან ფონდში არსებული თანხის გაცემა მოხდება რამდენიმე კომერციული ბანკის მეშვეობით. თანხა დაახლოებით 100 მილიონი ლარი იქნება.

მეწარმეთათვის სესხის მაქსიმალური ოდენობა იქნება 20 000 ლარი, 8-პროცენტიანი განაკვეთი, შეღავათიანი (50-პროცენტიანი) საკრედიტო გარანტია და სესხის დაფარვის პერიოდი — 36 თვე.

ყველაზე მეტი კრიტიკა და დებატები ალიანსის დასაქმების პროგრამამ გამოიწვია. შეხვედრისას დიდხანს მოუწიათ იმის მტკიცება, რომ ეს მიდგომა კარგად იმუშავებს. მით უფრო იმ ფონზე, როცა კერძო ბანკებიდან მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ სახსრების გამოტანა ჭირს. ფონდის ამოქმედებიდან ერთი წლის განმავლობაში თბილისში 50 ათას კაცზე მეტი დასაქმდება, — აღინიშნა შეხვედრაზე. ალიანსის პროგრამას, მიუხედავად კრიტიკისა, მაინც ჰყავს მხარდამჭერთა გუნდი დამოუკიდებელი ეკონომიკური ექსპერტების სახით. თუმცა, ამომრჩეველი რამდენად ენდობა ამ დაპირებებს, მხოლოდ არჩევნების დღე გვიჩვენებს.

ნია ფიფია

◎ საარჩევნოდ



საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობაზე, იყენებს თუ არა მმართველი პარტია არჩევნებში სახელისუფლო რესურს, რამდენად მომგებიანი სლოგანები აქვთ არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ სუბიექტებს; ასევე – რამდენად შეესაბამება NDI-სა და CSA-ს სოციოლოგიური კვლევა რეალობას, „ინტერპრესნიუსი“ ფსიქოლოგ რამაზ საყვარელიძეს ესაუბრა.

„საზოგადოებას ხელისუფლებისთვის მებრძოლი ოპოზიციის პოვნისა და ფორმირების ამოცანა უდგას“

– ბატონო რამაზ, როგორ შეაფასებდით საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობას და რამდენად მაღალი შეიძლება იყოს ამომრჩეველთა აქტივობა?

– სოციოლოგია რეალობის სურათს ხატავს და მე უფლება არა მაქვს, სოციოლოგიით არ ვიხელმძღვანელო. ახლა არ შევალ დისკუსიაში, სანდოა თუ არა ჩატარებული სოციოლოგიურ კვლევათა შედეგები, მაგრამ ვიტყვი – რაც მეორდება, ის სანდოა. სხვადასხვა გამოკვლევაში მეორდება, რომ არჩევნებზე მოსახლეობა აქტიურად იქნება. საერთოდ, თვითმმართველობის არჩევნებზე აქტიურობა დაბალია ხოლმე, მაგრამ იმის გამო რომ ეს ჩვეულებრივი თვითმმართველობის არჩევნები არ არის, მოსახლეობის აქტიურობა საკმაოდ მაღალი იქნება.

რაც შეეხება საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობას, უნდა ვაღიაროთ, რომ სახელისუფლო კანდიდატის კამპანია უფრო აქტიურია. ეთერში უფრო აქტიურად ჩანს, ქალაქში რომ გაივლი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მისი ნაკვალევი, როგორც მოქმედი მერისა, უფრო იკითხება, რაც ბუნებრივია და ამ აქტიურობას თავის შედეგიც მოაქვს. მიუხედავად გამოკვლევების ავტორების სხვადასხვაობისა, უგულავა ყოველთვის პირველ ადგილზეა და დანარჩენები ინაწილებენ სხვა ადგილებს. ალბათ აქტიურობით უნდა აიხსნას ის, რომ თბილისში დღეს მერის კანდიდატურა უფრო რეიტინგულია.

– არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, პოლიტიკური სუბიექტები არათანაბარ პირობებში იმყოფებიან და მმართველი პარტია, წინა წლების მსგავსად, წინაასარჩევნო კამპანიაში სახელისუფლო რესურს იყენებს...

– ეს უდავოდ ასეა. რაც საეთერო დროსთან დაკავშირებით ზვიად ძიძიგურმა ახსენა, ანუ მიუთითა სახელისუფლო კანდიდატის სხვასთან შედარებით განკუთვნილი საეთერო დროის განსხვავებულობაზე, ალბათ მათ წამზომით გაზომეს და დააფიქსირეს. . ჩვენთვის, როგორც ტელემაყურებლისთვის, ცხადია, რომ უგულავა პოზიტიური ნიშნით გაცილებით დიდხანს არის ეკრანზე, ვიდრე – სხვა კანდიდატები. ხელისუფლება იყენებს იმას, რაც შეიძლება გამოიყენოს. ქართული პოლიტიკური ელიტა უნდა მიხვდეს – მარტო ჩივილი იმაზე, რომ ხელისუფლება სწორად არ იქცევა, საკმარისი მექანიზმი არ არის.

– წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას თვალშისაცემია არჩევნებში მონაწილე პარტიების და პოლიტიკური გაერთიანებების სლოგანები. თქვენ, როგორც ფსიქოლოგი და ამომრჩეველი, როგორ შეაფასებდით სლოგანებს, რომლებიც ამომრჩეველს ტელევიზიებით ყოველდღე მრავალჯერ ესმის?

– თითოეულ სლოგანს თავისი პოზიტივი უდავოდ აქვს. ამ საარჩევნო კამპანიაში ურიგო სლოგანები ნამდვილად არ არის. ყველა ფიგურა მოხდენილი ფრაზით ახერხებს თავისი პრინციპის გადმოცემას. სახელისუფლო კანდიდატი მოსახლეობას მიმართავს სლოგანით – „გასაკეთებელი კიდევ ბევრია“. ალბათ მისი რეიტინგი სლოგანზე არ არის დამოკიდებული, რადგან ამ კანდიდატის მიმართ ქალაქში ხუმრობებიც გაჩნდა. იუმორი ისეთი ფენომენია, რომელმაც შეიძლება ჟანგივით გამოჭამოს ნებისმიერი პოლიტიკური რეალობა. გაჩნდა ხუმრობა – „გასაკეთებელი კიდევ ბევრია, მაგრამ გასაფუჭებელი კიდევ უფრო მეტია“. გაჩნდა ხუმრობა, რომ ბინის რემონტთან დაკავშირებით მერიაში რეკავენ. მე ვერ ვიტყვი, რომ სახელისუფლო კანდიდატის სლოგანი საუკეთესოა, მაგრამ ის, რომ უგულავა სლოგანის იმედზე არ არის, ფაქტია. ის ძალიან აქტიურია, ურთიერთობაში შედის მოსახლეობასთან, იწყებს ამბიციურ პროექტებს, ახორციელებს მათ და ამ აქტიურობისა და ენერგიის ხარჯზე საკმაოდ მაღალი და ვიტყოდი, დამსახურებული რეიტინგი აქვს.

თითოეულ სლოგანს თავისი ლოგიკა და თავისი პოზიტივი აქვს, მაგრამ რადგან გამოკითხვებში პარტიების რეიტინგებზე სლოგანების პოზიტივი მნიშვნელოვანი გარღვევით არ აისახა, ამიტომ არა მგონია, რომ სლოგანი მუშაობდეს. არჩევნებში მონაწილე პარტიების სხვადასხვა ნაბიჯს და იმავე სლოგანებს რეიტინგი აფასებს.

– ჯერ ამერიკული NDI-სა და სულ ახლახან ფრანგული CSA-ს სოციოლოგიური კვლევების შედეგები არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურმა სუბიექტებმა და საზოგადოების გარკვეულ ნაწილმა გააპროტესტეს. თქვენი აზრით, რამდენად შეესაბამება კვლევის შედეგები რეალობას?

– გაპროტესტებას ალბათ აქვს თავისი პოლიტიკური მოტივები. თუ ვილაპარაკებთ მათი შეფასების სოციოლოგიურ მოტივებზე, აქაც შეიძლება რაღაც თავისებურებები გამოვლინდეს. კერძოდ - ძალიან ძნელად წარმოსადგენია, ორივე გამოკვლევა ერთმანეთს იმდენად დაემთხვეს, რომ ციფრები იყოს ერთნაირი. ორივე გამოკვლევაში უგულავას 57%-57% მეორდება. სოციოლოგიური კვლევების ალბათობა 1-დან 3%-მდეა. თუნდაც ამ ცდომილების ფარგლებში 1% ცდომილება ხომ უნდა ყოფილიყო. რადგან ასეთი განსხვავებაც არ ფიქსირდება, ეს აჩენს ეჭვს. რბილად რომ ვთქვათ, ციფრი 57%-ია უკვე თავისთავად აკვიატებული. თუ რატომ არის აკვიატებული, ამას შეიძლება სხვა ვერსიები მოჰყვეს. ამიტომ არის, რომ ეს გამოკვლევები ნდობას არ იმსახურებს. NDI-ს გამოკვლევაში ალასანიას 7% ჰქონდა ისე, რომ ალასანიას მოქმედებაში არსებითად არაფერი შეცვლილა, როგორც ადრე ხვდებოდა მოსახლეობას, ისე ხვდება ახლაც. ფრანგულ კვლევაში მისი რეიტინგი 7-დან 14-მდე გაიზარდა მაშინ, როცა უგულავას შეფასებაში ორივე გამოკვლევა ერთნაირია. თუ ცდომილება მოხდებოდა, იგი მთელ სპექტრს უნდა შეხებოდა. უგულავაში გამეორდა, ალასანიაში შეიცვალა და თანაც ორჯერ გაიზარდა, ეს ცოტა ღიმილისმომგვრელია.

– ბევრი მიიჩნევს, რომ საზოგადოება შეშინებულია და გამოკითხული რესპონდენტები პასუხების გაცემისას შეუძლებელია, გულწრფელები ყოფილიყვნენ. თქვენც ასე ფიქრობთ?

– დიახ. სოციოლოგიას პრობლემა ავტოკრატიულ საზოგადოებაში აქვს. იმის გამო, რომ რესპონდენტს რეალური პასუხის გაცემის ეშინია, ავტოკრატიულ საზოგადოებაში სოციოლოგიის შეცდომები უფრო აშკარად ვლინდება. თუმცა ის, რამდენად დემოკრატიულ საზოგადოებაში ვცხოვრობთ და რამდენად რეალისტური იყო გამოკითხვის შედეგები, 3 მაისს გაირკვევა.

– საარჩევნო კამპანია ძალიან მდორედ, მშვიდად და ინტრიგის გარეშე მიმდინარეობს. არადა, სწორედ ინტრიგა განსაზღვრავს არჩევნებში მოსახლეობის აქტივობას. თქვენი აზრით, რა არის საარჩევნო კამპანიის მშვიდად, ინტრიგის გარეშე მიმდინარეობის მიზეზი?

– შეიძლება, ახლა ისეთი რამ ვთქვა, რომელიც ჩემთვის, როგორც კონკრეტული პიროვნებისთვის, დიდად ხელსაყრელი არ იყოს, მტერს გამიჩენს, მაგრამ ჟურნალისტები მაიძულებთ, რომ გულახდილი ვიყო. ხელისუფლებით შეიძლება უკმაყოფილო იყოს ქუჩაში მოვაჭრე, მეცნიერი, მხატვარი, თეატრის რეჟისორი, მსახიობი და ასე შემდეგ. უკმაყოფილებას დიდი პროფესიონალიზმი არ უნდა, ვინაიდან უკმაყოფილება არის ან არ არის. იმ ინტრიგის გაჩენას, რომელზეც თქვენ საუბრობთ, პოლიტიკური ნიჭი უნდა და - არა მარტო მარტივი უკმაყოფილება. ჩვენი ოპოზიცია ზოგად სამოქალაქო უკმაყოფილებაზე დაყრდნობილი პოლიტიკური ჯგუფია, რომელიც ახალ პოლიტიკურ სვლას, მოულოდნელს, იმპროვიზაციის შემცველს, საინტერესოს, დამაინტრიგებელს საზოგადოებას ვერ სთავაზობს; ფაქტობრივად, საზოგადოების უკმაყოფილების გამგრძელებელია და, როგორც პოლიტიკოსები, ისე ახმოვანებენ ამ უკმაყოფილებას. ოპოზიცია, თავის მხრივ, ამ უკმაყოფილებას ინტელექტუალურ დანამატს არ თუ ვერ მატებს, საზოგადოებას უკმაყოფილების მოხსნის გზასაც ვერ სთავაზობს. როცა საარჩევნო კამპანიაში არაფერი იმაზე მეტი არ ხდება, ვიდრე მოსახლეობის უკმაყოფილებაა, ეს ქართული პოლიტიკური ცხოვრების დრამაა.

– რამდენად პროგნოზირებადია არჩევნების შედეგი? ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი მიიჩნევს, რომ ოპოზიცია ყველაფერს აკეთებს, რათა ხელისუფლებამ გაიმარჯვოს. ხელისუფლება გამარჯვებისთვის, ხოლო ოპოზიცია დამარცხებისთვის ემზადება?

– იმის გამო, რომ ჩვენი მოსაზრებები ერთმანეთისგან იშვიათად განსხვავდება, მე ბატონ სოსოს იშვიათად ვეკამათები. ახლაც კამათის რეჟიმში არა, ისე ვამბობ, – შეიძლება ოპოზიცია დამარცხებისთვის არ ემზადება, მაგრამ... სულ არის სამი „საფეხური“, – ჟურნალისტებიც კი ამ საფეხურებს ხშირად აღნიშნავენ ხოლმე: ხელისუფლება, ოპოზიცია და ჩვეულებრივი მოქალაქეები. ადამიანები, რომლებიც ოპოზიციაში არიან, თუ ჩამოქვეითდებიან, ჩამოქვეითდებიან ჩვეულებრივ მოქალაქეებამდე, თუ აღზევდებიან, აღზევდებიან ხელისუფლებამდე. მათ ხელისუფლებამდე ასვლა თუ არ შეუძლიათ, ეს არ ნიშნავს, რომ აწყობთ ჩვეულებრივ მოქალაქეებამდე ჩამოსვლა. იმისთვის, რომ შეინარჩუნონ შუალედური სტატუსი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია (ტელე და პრესფოკუსში მუდმივად ხარ) ისინი, რა თქმა უნდა, არჩევენ, იყვნენ ოპოზიციაში; შეიძლება, ხელისუფლებისთვის თავგამოდებით არც იბრძოლონ და ეს „შუა სართული“ აწყობდეთ საზოგადოებაში ისეთი არსებობისთვის, რომელიც მეტ-ნაკლებად კომფორტულია.

ამას ქართული ოპოზიციიდან გამომდინარე არ ვამბობ. ამ აზრისკენ მიბიძგა პიარტექნოლოგიების ერთი ექსპერტის მონათხრობმა, რომელიც კონსულტაციას უწევდა ბელორუსიაში ლუკაშენკოს ოპოზიციას. მისი თქმით, როცა ოპოზიციას არჩევნების მოსაგებად ღონისძიებათა ნუსხა გაუწერა, ბელორუსმა ოპოზიციონერებმა უთხრეს – გაგვანებე თავი, ჩვენ ჩვენი ოპოზიციური მდგომარეობა გვაწყობს და არჩევნების მოგება არ გვჭირდებაო.

ქართულ საზოგადოებას დაუდგა დრო, დაფიქრდეს, ოპოზიცია, რომელიც საქართველოშია, ეს ხელისუფლებისთვის მებრძოლი ოპოზიციაა თუ „ოპოზიციურობისთვის“ მებრძოლი ოპოზიცია. საზოგადოებას ხელისუფლებისთვის მებრძოლი ოპოზიციის პოვნისა და ფორმირების ამოცანა უდგას.

კობა გენდელიანი

◎ ეკლესია და საზოგადოება

„რელიგიურ ფასეულობებზე შეტევის ტენდენცია ეროვნული უსაფრთხოების თემას უკავშირდება“



საერთაშორისო საკითხებში ექსპერტის გიორგი ვოლსკის აზრით, „რელიგიურ ფასეულობებზე შეტევის ტენდენცია ეროვნული უსაფრთხოების თემას უკავშირდება“. ამის შესახებ ვოლსკიმ „პირველს“ რელიგიური ფასეულობების დაცვის საკითხზე წარმოქმნილი კამათის კომენტირებისას განუცხადა.

„თუკი საპატრიარქოს მიერ ინიცირებულ კანონპროექტზე დაიწყება მსჯელობა, კანონზომიერად წამოიწევს ყველა კონფესიის უფლების დაცვის თემაც, რაც ჩვენს მართლმადიდებლურ კულტურას ნამდვილად არ ესწავლება. ამასთანავე, მავანს პროვოკაციების საშუალება მიეცემა და კანონსაც ამ ასპექტში სწორედ მართლმადიდებლურ რელიგიასთან მიმართებაში გამოიყენებს. რაღაც კონსპირაციულ ჩანაფიქრთან ხომ არ გვაქვს საქმე? გავიხსენოთ, რომ პრობლემა, რბილად რომ ვთქვათ, მდარე ფასეულობის წიგნის გამოცემით დაიწყო. სამწუხაროდ, დღემდე განვითარებულმა მოვლენებმა ეს წიგნი პოპულარული გახადა და როგორც მითხრეს, სულაკაურის გამომცემლობა მისი ახალი პარტიის გამოშვებასაც გეგმავს. ჩემი აზრით, რელიგიურ ფასეულობებზე შეტევის ტენდენცია ეროვნული უსაფრთხოების თემას უკავშირდება, რამდენადაც საზოგადოებაში დაპირისპირებას ქმნის (ბანალური ჭეშმარიტებაა)“, – განუცხადა „პირველს“ ვოლსკიმ, რომელიც ამ კონტექსტში ყურადღებას აშშ-ის ელჩის ჯონ ბასის გამონათქვამზე ამახვილებს იმის შესახებ, რომ „გამოხატვის თავისუფლების დაცვასთან ერთად, „გამომთქმელსაც“ აქვს პასუხისმგებლობის ვალდებულება“. მისივე აზრით, „თუ აღნიშნულ საკითხს სახელმწიფოებრივად მივუდგებით, შედეგით უნდა ვიმსჯელოთ“. „დაპირისპირება ამ „ბესტსელერის“ უნივერსიტეტში პრეზენტაციამ შექმნა. **უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ არა მარტო აღმზრდელობითი და მორალური თვალსაზრისით იმოქმედა უპასუხისმგებლოდ, მან მოახდინა სახელმწიფო ინტერესების საწინააღმდეგო ტენდენციების პროვოცირება.**

მრავალი ასპექტით ქართულ და საერთოდ, ეკლესიას გამაერთიანებელი ფუნქცია აქვს (ისევე, როგორც ევროპულ სამეფო დინასტიებს). ვფიქრობ, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია „თავისუფლების ინსტიტუტთან“ უნისონში (პრინციპში იგივეა) სწორედ ამ მიმართულებით „ურტყამს“ – უბადრუკ წიგნზე გადაჭარბებული ყურადღების პირობებში ინსტიტუტს საშუალება მიეცემა, რეალური ვითარების ფალსიფიცირება მოახდინოს; მასთან დაპირისპირებულად წარმოაჩინოს საქართველოში ვითომდა მომძლავრებული ექსტრემისტული ჯგუფები და არა საღად და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე საზოგადოება. მიზანი „ლიბერალიზმისა“ და „სიბნელის“ დაპირისპირების სურათის შექმნა და საქართველოს შიდა პოლიტიკურ ვითარებასთან მიმართებაში დასავლეთის პოლიტიკური შეფასებებით მანიპულირებაა.

ამდენად, ვინც გადაწყვიტა „ცეცხლით და მახვილით“ იბრძოლოს მართლმადიდებლური ფასეულობების დასაცავად, უნდა გაითვალისწინოს, რომ მათი გულწრფელობით შესაძლოა, ეკლესიის დისკრედიტაციის მოსურნე პროვოკაციულმა ძალებმა ისარგებლონ“, – განმარტავს ვოლსკი. შეგახსენებთ, რომ **საქართველოს საპატრიარქო ხელისუფლებას უხამსობისგან და რელიგიური გრძნობების დასაცავად კანონის მიიღებას სთხოვს.** ამასთან დაკავშირებით საპატრიარქომ განცხადება გაავრცელა, რომელშიც ნათქვამია, რომ „ეკლესია დემოკრატიულ ღირებულებებს პატივს სცემს, თუმცა უზნეობის, უხამსობის, აღვირახსნილობისა და სატანიზმის პროპაგანდას მხარს არ დაუჭერს“. „მივმართავთ ხელისუფალთ, სასწრაფოდ მიიღონ კანონი, რომელიც სათანადოდ დაიცავს მოსახლეობას უხამსობისგან, დაიცავს პიროვნების და საზოგადოების პატივსა და ღირსებას, მათ რელიგიურ გრძნობებს. ამით ჩვენ დავიცავთ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა მშვიდობასა და კეთილდღეობას“, – აღნიშნულია საპატრიარქოს განცხადებაში. ამასთან, საპატრიარქო აღნიშნავს, რომ მართლმადიდებლობის სახელით არსებული არც ერთი ორგანიზაცია საპატრიარქოს ინიციატივით შექმნილი არ არის.

ლევან ჟითანავა

◎ ხედვა

წელს ამერიკელმა მაყურებელმა ანდრეი ნეკრასოვისა და ოლგა კონსკაიას ფილში „რუსულის გაკვეთილები“ ორჯერ იხილა. უფრო სწორად, ეს ფილმი ორ ამერიკულ კინოკონკურსზე იყო წარდგენილი. იანვარში, პარკ სითიში „სანდენსის“ საავტორო ფილმის ფესტივალზე („რუსულის გაკვეთილებს“ ჟიურის მთავარი პრიზის ნომინანტებშიც მოხვდა) და აპრილ-მაისში სან-ფრანცისკოს საერთაშორისო კინოფორუმზე. პარკ სითიში ფილმის ავტორთან გამართულ შეხვედრას ასე უწოდეს „შეხვედრა ხელოვანთან: რუსულის გაკვეთილები ჰუმანიზმს გვასწავლის“. კალიფორნიაში კი „გაკვეთილების“ შემქმნელები „სუპერძალასთან დიგიტალური კამერითა და ძლიერი ნებით დაპირისპირებულ ადამიანებად“ დაახასიათეს. „გაკვეთილების“ დასაწყისში „მონანიებისა“ და „ჯარისკაცის მამის“ აფიშები ჩანს. ნეკრასოვი ამბობს, რომ კინოკულტურაში დესტალინიზაციის პროცესი სწორედ აბულაძის ფილმით დაიწყო, რაც მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო არა მარტო პოლიტიკურად, არამედ მხატვრული თვალსაზრისითაც.

„სანდენსზე“ ნეკრასოვის ფილმები 2002-სა 2004-შიც იყო წარდგენილი. უფრო ადრე კი 1993 წელს კანის ფესტივალზე მისმა 23-წუთიანმა ფილმმა „ზამბარებიანი ლენინი“ UNESCO-ს პრიზი დაიმსახურა; ნეკრასოვს მანჰეიმის კინოფესტივალზე ფილმისთვის „სიკვდილივით ძლიერი სიყვარული“ საერთაშორისო კინოკრიტიკის პრიზი გადაეცა; 2001 წელს გადაღებულმა ფილმმა „სიყვარული და სხვა კოშმარები“ 30-ზე მეტ კონკურსში მიიღო მონაწილეობა და არაერთი პრიზიც დაიმსახურა, მათ შორის როტერდამსა და ბერლინში. 1984 წელს შვედეთში იგი ფილმის „მსხვერპლშეწირვა“ გადაღების დროს ანდრეი ტარკოვსკის ასისტენტი გახლდათ. 29 წლის ნეკრასოვის მიერ ბრიტანეთის Chanell 4-სთვის გადაღებულმა ფილმმა „თოთოეულს — საკუთარი რუსეთი“ ძალიან დიდი ინტერესი და აღმატებული შეფასება დაიმსახურა. გაზეთი Independent (1988) წერდა:“ შესანიშნავი რეჟისურა, საზრიანი მონტაჟი, ამაღელვებელი ფილმი!“

2004 წელს ნეკრასოვის მიერ ერთ თვეში გადაღებულმა ფილმმა „უნდობლობა“ ფეესბეს მიერ რუსეთის ქალაქებში დაგეგმილი აფეთქებების შესახებ დიდი რეზონანსი გამოიწვია. იგი კარაჩის საერთაშორისო კინოფესტივალზე აჩვენეს, სადაც საუკეთესო დოკუმენტური ფილმის წოდება მიანიჭეს. ფილმი უფლებადაცვითმა საერთაშორისო ორგანიზაციამ „ემნესტი ინტრნეიშენალ“ სპეციალური პრიზითაც დააჯილდოვა. 2007-ში კი კანის ფესტივალზე ნეკრასოვისა და კონსკაიას ფილმის „ბუნტი: ლიტვინენკოს საქმე“ მსოფლიო პრემიერა შედგა. საფრანგეთის შემდეგ ამ ფილმების ჩვენება გაიმართა ტორონტოში, მელბურნსა და სტოკჰოლმში. რუსეთში „ლიტვინენკოს საქმე“, ისევე როგორც „გაკვეთილები“ ფაქტობრივად, ოფიციალურადაა აკრძალული, თუმცა იქ „ლიტვინენკოს საქმის“ ჩვენება რამდენჯერმე, ოღონდ მცირე აუდიტორიებში, მაინც მოხერხდა.

პეტერბურგის თეატრისა და კინოს ინსტიტუტის, პარიზის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტისა და ბრისტოლის უნივერსიტეტის კინოსკოლის კურსდამთავრებული, სცენარისტი, პუბლიცისტი, დრამატურგი და მწერალი ანდრეი ნეკრასოვი „რუსულის გაკვეთილებში“ გარდა კინოდოკუმენტალისტისა, ჟურნალისტის ფუნქციასაც ასრულებს. ერთ-ერთ კადრში იგი დევნილებს ოლგა კონსკაიას მიერ სამხრეთ ოსეთში გადაღებული ქართველების დანგრეული სახლების კადრებს უჩვენებს. ადამიანებმა არ იცოდნენ, თუ რა ხდებოდა მათ სახლებში, ეზოში, მათ მიწაზე. სამხრეთ ოსეთი ქართველი ჟურნალისტებისთვის, ბუნებრივია, შეუღწევადი ანკლავი იყო. ანდრეი ამბობს, რომ ამ ომის გარშემო რუსეთში ატეხილი დეზინფორმაციული ნაკადი „სრულიად გამორეცხილ ტვინებზე“ მეთითებს, ორუელის მოდელზე — „პატარა სამხრეთ კორეაზე“...

სან-ფრანცისკოს კინოფესტივალის პროგრამის გარეთ იქაური საქველმოქმედო ორგანიზაციის “ბაბუაწვერას დახმარების ჯგუფი“ (ხელმძღვანელი ეკა გვათუა) მიერ ანდრეი ნეკრასოვთან მაყურებელთა შეხვედრა გაიმართა. ფილმის ჩვენების შემდეგ „რუსულის გაკვეთილების“ ავტორმა საომარი მოქმედებების გადაღების დროს მიღებული გამოცდილების, აფხაზეთში ეთნიკური წმენდის შესახებ ისაუბრა, ამ ომის „ბაგრამიანის ბატალიონის“ შემადგენელზეც, შამილ ბასაევზე, „მთის ხალხის კონფედერაციის“ ღვაწლზე, რუსეთში არსებულ სიტუაციაზე, თუ როგორ კარგად იციან რუსეთში კავკასიის გეოგრაფია. „სიტუაციის შესაცვლელად მუშაობა და უფრო მეტი მუშაობაა საჭირო“ — თქვა მან. ხოლო როცა საუბარი მის პირად უსაფრთხოებას შეეხო, მან თავისი მეგობრის, ალექსანდრე ლიტვინენკოს სიტყვები გაიმეორა: „ყველას ვერ დახვრეტენ“...

ანდრეი ნეკრასოვს რადენიმე კითხვით ჩვენც მივმართეთ.

დასავლეთის „მეინსტრიმულ“ მასმედიაში პროპაგანდა აბსოლუტურად მიუღებელია

— ბატონო ანდრეი, თქვენმა ფილმებმა რუსეთში აღიარება არაერთხელ მოიპოვა. როდის გახდით არასასურველი რეჟისორი?

— პრობლემები იმიტომაც მექმნება, რომ ისეთი ადამიანების მოღვაწეობის გარეშე, როგორიც მე ვარ, რუსეთის ხელისუფლებას არსებობა გაუადვილდებოდა. პირველი სერიოზული ინციდენტი, რომელიც შემთხვევა 2004 წლით თარიღდება, როცა მე და ოლგა კონსკაიას მასტერ-კასეტები (ორიგინალები) მოგვპარეს. იქ ფეესბეს ყოფილი ოფიცრისა და უფლებადამცველის მიხაილ ტრეპაშკინის ინტერვიუ იყო. იგი, სხვათა შორის, ამ ინტერვიუს შემდეგ მალევე დააპატიმრეს. ამის გამო ფილმი „ჩვენი დროის გმირი“ ისეთი სრული არ იყო, როგორსაც ჩვენ ვგეგმავდით. იმ დროიდან მე ორიგინალებს რუსეთში აღარ ვინახავ და ვცდილობ ყველაფერი, რაც კი გადავიღე, რუსეთიდან მაშინვე გავიტანო.

— ამგვარი ფილმების შექმნისას, რა არის თქვენთვის მთავარი?

— ჩემს სინდისთან მართალი ვიყო.

— როგორ ფიქრობთ, სად გადის ზღვარი დოკუმენტურ ფილმსა და პროპაგანდას შორის?

— მართალი გითხრათ ობიექტურად ამ ზღვრის დადგენა ისევე რთულია, როგორც — სიმართლის, რადგანაც პროპაგანდა ძალიან ნიჭიერიც ყოფილა, ისეთი, როგორიცაა ლენი რიფენშტალის ფილმები. სსრკ-ში ამის მაგალითი მრავლად იყო. არის განსაკუთრებული მხატვრული ღირებულების მქონე ნაწარმოებები პროპაგანდის ელემენტებით, მაგალითად, — ეიზენშტეინის. დღეს იმაში, რომ განასხვაო პოლიტიკურ თემაზე შექმნილი პროპაგანდა დოკუმენტალისტიკიდან ის ფაქტი გვეხმარება, რომ ნიჭიერი პროპაგანდა თითქმის აღარ არსებობს. ამისთვის კი შესაბამისი პირობები ანუ ტოტალიტარული სისტემა აღარ არსებობს. ახლანდელმა სისტემამ იდეოლოგიის მხარდაჭერისთვის არანაირი რესურსი არ იცის. პუტინის რუსეთის სრული მიუღებლობის მიუხედავად, იგი ტოტალიტარული არაა, თუნდაც იმიტომ, რომ პუტინსა და მის კომპანიას უფრო მეტად ფული უყვარს, ვიდრე — იდეოლოგიის შექმნა. მისი მხარდაჭერა მათ არანაირად არ აღელვებთ (სტალინსა და ლენინს გაცილებით ნაკლებად უყვარდათ ფული).

დღეს აუდიოვიზუალური პროპაგანდა თითქმის ყოველთვის ტელევიზიისთვის ანდა ინტერნეტ-ტელევიზიისთვის კეთდება და ცდილობს წარმოადგინოს თავისი მესიჯი, როგორც სუფთა ინფორმაცია, ფაქტები, რომლებსაც კადრს მიღმა გამუდმებით ტექსტის კითხვა ახლავს. ეს ტექსტი არაა საავტორო, არამედ ციდანაა აღებული. ასეთი ნაწარმის ავტორები ღრმად არიან დამალულნი. იმის ცოდნა თუ ვინ არიან ისინი, არაა მნიშვნელოვანი და არცაა საჭირო.



ჩემი დოკუმენტალისტიკა კი საავტორო. მე ვეუბნები მაყურებელს — აი, აგერ ვარ, მე მაქვს ჩემი აზრი, რომელიც ჩემს გამოცდილებას და ჩემს დასკვნებს ეყრდნობა. ეს ჩემი მოსაზრებაა და არა რომელიმე მთავრობის. ჩემს ფილმებს ასევე აქვთ ფორმა, რომელსაც მე მტანჯველი სახელოვნებო ძიებით მივაგენი. ეს ისეთივე მტანჯველია, როგორიც, ალბათ, მშობიარობა. ტიპურ პროპაგანდაში კი ხელოვნება არ იგრძნობა. ჩემი აზრით, პოსტსაბჭოთა სივრცის პროპაგანდა (რუსეთის საზღვრებს გარეთ) ნაკლებადაა, ვიდრე რუსეთში, მაგრამ მეტია — ვიდრე დასავლეთში. ერთ-ერთი ცნობილი პროპაგანდისტული ფილმი ახლო წარსულიდან ლატვიური „საბჭოთა ამბავი“ გახლავთ. ამ ფილმის მთავარი აზრი ისაა, რომ საბჭოთა კომუნიზმი იყო ისეთივე საშინელება, როგორც ნაციზმი, მაგრამ ეს აზრი ამ ფილმის პროპაგანდისტული ფორმის გამო თავის დამაჯერებლობას კარგავს. როგორც თეზისს, მე ამ აზრს სავსებით დასაშვებად მივიჩნევ, რაც ხელს არ უშლის ამ ფილმს იყოს პროპაგანდის მაგალითი, რომელსაც მე უარვყოფ, როგორც ჩემზე ზემოქმედების ხერხს. საქართველოში მე ვნახე ფილმი „მთის ხალხის კონფედერაციის“ მიერ აფხაზეთში ქართველების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების შესახებ. ეს ფილმი თავისი ფორმით პროპაგანდისტული იყო. მას, ჩემი აზრით, მხოლოდ ისედაც სასონარკვეთილი ადამიანის დარწმუნება შეუძლია. ცრუ მოკრძალების გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ „რუსული გაკვეთილების“ ჩვენების შემდეგ, იმ ორი საათის განმავლობაში, რაც ფილმი მიმდინარეობს, მაყურებლებმა რადიკალურად შეცვალეს აზრი საქართველოში მიმდინარე ომების შესახებ. მე არ ვფიქრობ, რომ დღეს პროპაგანდას ამგვარი რამ შეუძლია. დასავლეთის „მეინსტრიმულ“ მასმედიაში პროპაგანდა აბსოლუტურად მიუღებელია. მცირედი მითითება იმაზე, რომ ფილმის უკანვიღაცის ინტერესები დგას, ფილმს ძირითად არხებზე ჩვენების პერსპექტივას უკარგავს. მიუხედავად ამისა, რეალობაში არიან ტელეკომპანიები, რომელთა პროგრამები ძალიან ხშირად პროპაგანდას ჰგავს, მაგალითად, FoxNews-ის. ეს აშკარა და უხეშია. თუმცა არის უფრო ნატიფი კვაზი-პროპაგანდაც, რომელსაც მისი ავტორები მას ასეთად არაფრით თვლიან. ეს პროპაგანდა ქვეცნობიერულია. იგი მომდინარეობს პოლიტკორექტულობის ავტომატურობისგან, სადაც, მაგალითად, underdog (დამარცხებული) ყოველთვის მართალია, არა მარტო მართალია, არამედ უნდა არსებობდეს კიდეც, თუნდაც ეს ასე აშკარა არაა. 2008-ში აგვისტოს ომთან დაკავშირებით, აუცილებელი იყო ოსური underdog შეექმნათ, რადგანაც საქართველო სუპერსახელმწიფოს, აშშ-ის მოკავშირეა. ეს underdog ე.წ. „პატარა, თავისუფლების მოყვარული ხალხია“, არადა სინამდვილეში სამხრეთ ოსეთი წარმოადგენს არა უბრალოდ ავტორიტარული რუსეთის მოკავშირეს, არამედ მის პირდაპირ (არალეგალურ) დანართს და წარმოუდგენლად კორუმპირებული და მილიტარიზებულია, როგორც სამხრეთ კორეა — ამგვარი რამ კი ვერ ერთვება პოლიტკორექტულობის მითოლოგიაში და შესაბამისად უნდა რეტუშირდეს. ასე იქმნება პროპაგანდა დასავლეთში.

— რა არის 2008 წლის აგვიტოს ომი თქვენთვის?

— პირველი სერიოზული წიგნი, როემლიც მე 10 წლის ასაკში წავიკითხე, იყო „ომი და მშვიდობა“. ეს წიგნი ბევრი რამის შესახებ მოგვითხობს. მათ შორის — ომზეც. ტოლსტოის სძულდა ომი. ამ უბრალო ჭეშმარიტების შესახებ ხშირად ავიწყდებათ. ეს იყო ერთ-ერთი პირველი ავტორიტეტი, რომელმაც ომის მიუღებლობა მასწავლა. რასაკვირველია, ომი შეიძლება იყოს სამართლიანი, თავდაცვითი. ზემოხსენებული ტოლსტოური სიძულვილი ასევე დამპყრობლების ომსაც ეხება. რუსეთის ომი საქართველოს ტერიტორიაზე არ იყო სამართლიანი, იგი იყო დაპყრობითი და მე და ოლგას გაჩუმება უბრალოდ არ შეგვეძლო, უკაცრავად ამ ხმამაღალი გამონათქვამისთვის.

ფილმის სულიერი ინიციატორი იყო ოლგა. მე 2008-ში და მანამდე განვითარებულ მოვლენებს ანალიტიკურად ვუდგებოდი. ოლგაც მოვლენებს მარტივად არ უყურებდა: დაპყრობას, მუხანათობას, ძმურ ერს ზურგში ჩაცემას. ქართველი ხალხის გამწარებას... ასეთი ადამიანი იყო ოლგა.

— ამ „გაკვეთილებმა“ მსოფლიოს რა ასწავლა?

— ამ გაკვეთილებმა მსოფლიოს, ჯერ გაუცნობიერებლად, რაღაც ნამდვილად ასწავლა. ადამიანები (სსრკ-ს საზღვრებს გარეთ), რომლებიც ჩვენი ფილმის სანახავად მოდიან, ბუნდოვნად ეჭვობენ, რომ რაღაც მთლად ისე არ არის, როგორადაც რუსები ამბობენ. რაღაც ამდაგვარი: „უეცარი თავდასხმით პატარა მშვიდობიან ხალხზე, მძინარე ქალაქზე“ და ა.შ. და ა.შ. რუსეთმა დასავლეთისთვის სწორედ ამ ვერსიის მიყიდვა შესძლო. მაგრამ ხალხი ხვდება, რომ ეს ასე არ არის. მიხარია, რომ ჩვენი ფილმი ადამიანებს ინფორმაციას აძლევს. ასევე გვაქვს იმის განცდა, რომ ჩვენ სიმართლის მიტანას ვცდილობთ. ჩვენც შეიძლება ვცდებოდეთ, მაგრამ ჩვენ ვმოქმედებთ გულახდილად, ყოველგვარი შეკვეთის, რაიმე ანგარებისა თუ ფარული აზრის გარეშე. ამიტომაც მჯერა, რომ ეს გაკვეთილები, ეს სახელმძღვანელო მხოლოდ ერთი წლისთვის არაა შექმნილი. მე მჯერა, რომ ეს სახელმძღვანელო პუტინზე, სურკოვსა და მათ არც ისე ნიჭიერ პროპაგანდაზე გაცილებით დიდხანს იცოცხლებს.

ია მერკვილაძე,
ამშ.

თვალსაზრისი

კავკასიაში მნიშვნელოვანი პროცესების მიმდინარეობისა და თურქეთის გააქტიურების ფონზე რეგიონში საქართველოს პოზიციების შესუსტებაზე დღემდე აქტიურად მიდის საუბრები. რუსეთის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის ანკარაში ვიზიტის შემდეგ თურქეთის პრემიერ-მინისტრი რეჯეპ-ტაიპ ერდოღანი საქართველოს ესტუმრა და პრეზიდენტ სააკაშვილს შეხვდა, თუმცა შეხვედრაზე განხილული საკითხები საზოგადოებისთვის უცნობია. ამავდროულად გავრცელდა ამერიკელ ექსპერტთა ნაწილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ობამას ადმინისტრაცია რუსეთთან ურთიერთობების დათბობის საფასურად მზადაა, საქართველო და მოლდოვა დათმოს, რომელთაც მოსკოვთან დაპირისპირებისას გათვლა აშშ-ის დახმარებაზე აქვთ. ამის დასტურად German Marshall Fund of the United States-ის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს დევიდ კრამერს ბარაკ ობამას მიერ კონგრესისადმი მიმართვა მოჰყავს, რუსეთთან ბირთვული თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების განხილვას დაუბრუნდეს და ამ საკითხში საქართველოს სიტუაცია ბარიერად აღარ ჩათვალოს. რა პროცესები მიმდინარეობს რეალურად კავკასიის რეგიონში და მის ირგვლივ? რა მიზანს ემსახურებოდა თურქეთის პრემიერ-მინისტრის საქართველოში ვიზიტი? — ამ და სხვა საკითხებზე „პირველი" ექსპერტს კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძეს ესაუბრა.

„თუ საქართველო მსოფლიოში არსებული არეულობის ფონზე რუსეთთან დიალოგის დაწყებას ვერ მოახერხებს, დავიღუპებით"

— ბატონო მამუკა, რა საკითხები განიხილებოდა, თქვენი ინფორმაციით, ერდოღანის ვიზიტის დროს და ზოგადად, რა ხდება რეგიონში?

— რა თემები განიხილეს თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ერდოღანმა და საქართველოს პრეზიდენტმა სააკაშვილმა შეხვედრისას, ჩემთვისაც უცნობია. ერდოღანის ვიზიტი სულ სამსაათიანი იყო, თუმცა ცხადია, რომ იგი ქვეყანაში მხოლოდ სასტუმრო „შერატონის" გასახსნელად არ ჩამოსულა. გასათვალისწინებელია ის კონტექსტიც, რომ ერდოღანმა ძალიან მოკლე დროში თეირანი მოიარა, რის შემდეგაც თბილისში ჩამოვიდა. ჩემი აზრით, ეს იმ ახალი მიდგომების მოსინჯვა იყო, რომელსაც თურქეთის მიერ რეგიონისადმი შემუშავებული ახალი სტრატეგია ითვალისწინებს.

რაც შეეხება თქვენს კითხვას იმის შესახებ, რა ხდება ზოგადად რეგიონში, ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხია და უნდა ითქვას, რომ ბოლო დროს სიტუაცია ამ მხრივ საგრძნობლად შეიცვალა. თურქეთი ძალიან გააქტიურდა და ეს კარგად ჩანს უპირველესად ირანის მიმართულებით, კერძოდ, თეირანის ბირთვულ თემასთან დაკავშირებით. ასევე ძალზე მნიშვნელოვანია, რომ თეირანმა პოზიციების მნიშვნელოვანი ნაწილი დათმო, რაც ჯერ კიდევ ვაშინგტონში ირანის პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლისას გამოჩნდა. იმის გათვალისწინებით, რომ თურქეთმა რეგიონალურ პოლიტიკასთან მიმართებაში ახალი პოლიტიკა შეიმუშავა, ვფიქრობ, ერდოღანის ვიზიტები სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ.

— რა როლი ექნება, თქვენი აზრით, თურქეთის ამ ახალ მიდგომებში საქართველოს?

— ვფიქრობ, თურქეთის ახალი მიდგომების კონტექსტში საქართველოც არის გათვალისწინებული, მაგრამ კონკრეტულად როგორ, ამაზე საუბარი ცოტა ნაადრევია, რადგან ჯერჯერობით ზედაპირზე არაფერი დევს.

— ამერიკელი ექსპერტების ნაწილი წერს, რომ ობამას ადმინისტრაცია რუსეთთან კარგი ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად მზადაა, მოსკოვს საქართველო და მოლდოვა „მიჰყიდოს", რომელთაც რუსეთთან დაპირისპირებისას გათვლა აშშ-ის დახმარებაზე აქვთ... თქვენ რა მოსაზრება გაქვთ ამასთან დაკავშირებით?

— ამერიკელი ექსპერტების ამ მოსაზრების სასარგებლოდ პრეზიდენტ ობამას კონგრესისადმი მიმართვაც მეტყველებს, რუსეთთან ბირთვული თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების განხილვას დაუბრუნდეს და ამ საკითხში საქართველოს სიტუცია ბარიერად აღარ ჩათვალოს. სხვათა შორის, ირანელი ექსპერტების ნაწილიც მიიჩნევს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სამხრეთ კავკასია რუსეთს დაუთმო და შესაბამისად, ირანი ამ რეგიონზე გაცვალა. პირადად ჩემი აზრით, თუ აშშ ამას მართლაც აპირებს, ეს მცდარი პოლიტიკური მიდგომაა და თავად ამერიკას ძალიან ცუდად შეუბრუნდება, რადგან რუსეთი არ განეკუთვნება ისეთ ქვეყნებს, რომელთა მადა დაკმაყოფილებადია და კრემლი აუცილებლად უფრო მეტს მოითხოვს. ასეთი ტიპის თამაში ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ადმინისტრაციისთვის წამგებიანია.

— როგორ შეაფასებდით ამ კონტექსტში აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის ჯოზეფ ბაიდენის წერილს, რომელიც ამერიკულ გაზეთ ინტერნეიშენალ ჰერალდ თრიბიუნში გამოქვეყნდა და ევროპული უსაფრთხოების ახალ გეგმას შეეხება?

— ჩემი აზრით, ჯოზეფ ბაიდენის უსაფრთხოების ახალი პროგრამის პრეზენტაცია ევროპაში, წინა აზიაში და ლათინურ ამერიკაში შექმნილი მდგომარეობის გამოძახილია. ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ადმინისტრაცია ხელისუფლებაში მოვიდოდა, საზოგადოებას დაჰპირდა, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას შიდა პოლიტიკაზე გაამახვილებდა, რაც ობამას ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მართლაც მოხდა [illegible] დაცვისა და სოციალური სისტემების რეფორმა დაიწყო, თუმცა ამასობაში აშშ-ს მოვლენების მართვის სადავეები გაექცა ხელიდან. ამის ნათელი მაგალითია ის, რაც ლათინურ ამერიკაში მოხდა, სადაც რუსეთმა გავლენის სივრცის შექმნა პრაქტიკულად შესძლო და შესაბამისად, შტატების მოკავშირეები მიიპყრო. ეს ყველაფერი აშშ-სთვის საკმაოდ შემაშფოთებელი სიგნალი აღმოჩნდა. მეორეს მხრივ, სამხრეთ კავკასიის მიმართულებითაც რუსეთის ჰიპერაქტიურობა შეინიშნება. ქვეყანამ, რომელსაც აშშ-მა სამხრეთ კავკასიაში პორცესების მართვა ჩააბარა, იგივე სომხებთან ურთიერთობების დალაგება, აღნიშნულ საქმეს თავი ვერ გაართვა. ასე, რომ, ვფიქრობ, ბაიდენის უსაფრთხოების ახალი ინიციატივა პუტინ-მედვედევის მიერ პრეზენტირებული ევროპული უსაფრთხოების ახალი სისტემის საპასუხოა. ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან კონტრმოქმედება იყო საჭირო, რაც ბაიდენმა ამ ინიციატივით გააკეთა. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, შეიძლება, ითქვას, რომ ამერიკა გონს მოეგო და გადაწყვიტა, საგარეო პოლიტიკის კორექტირების თვალსაზრისით მკვეთრი ნაბიჯები გადადგას.

— თქვენ აღნიშნეთ, რომ აშშ-ის მოვლენების მართვის სადავეები გაექცა ხელიდან და რუსეთმა გავლენის სივრცის შექმნა პრაქტიკულად შესძლო. ამ რეალობიდან გამომდინარე, როგორ უნდა იმოქმედოს საქართველომ?

— ამ დაულაგებელ მდგომარეობაში საქართველომ საერთაშორისო თანამეგობრობის შუამავლობით რუსეთთან დიალოგის დაწყება უნდა მოახერხოს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს აუცილებელია, თორემ დავიღუპებით.

ლევან ჟითანავა

უსამართლო სამართალი

დახვრეტილი ბერ-მონაზვნის თევდორე ჩიხლაძის ცოლყოფილს ქონება წაართვეს და გაასხვისეს

რამდენ თავსატეხს იტევს გულიკო ერისთავის საქმის თოთხმეტი ტომი?

„ვერ დავიჯერებ, რომ ბიძინა ივანიშვილმა, ამ ქველმოქმედმა და მეცენატმა კაცმა იცოდეს, რა ხდება დახვრეტილი ბერ-მონაზვნის თევდორე ჩიხლაძის ცოლყოფილის გულიკო ერისთავის გარშემო, რა ემუქრება მის კუთვნილ ქართული კერამიკული ნაწარმის ქარხანას და არ მიიღოს ყველაზე ადამიანური, კაცური და ფინანსური გადაწყვეტილება"... ასე ამთავრებს ჩვენთან საუბარს ცნობილი ჟურნალისტი მაყვალა ბერიანიძე, რომელიც გულიკო ერისთავის ოფიციალური ადვოკატი არ არის, მაგრამ მას შემდეგ, რაც პარლამენტის საგამოძიებო კომისიაში მუშაობის პერიოდში ჩაერთო საქმეში, სწორედ მისი მეოხებით შეიკრა ერისთავის საქმის თოთხმეტი ტომი.

მაყვალა ბერიანიძე

მაყვალა ბერიანიძე: თუ რა დატრიალდა გულიკო ერისთავის თავზე და რა საშინელი დღეები გამოიარა ამ ქალბატონმა, ამის შესახებ თავად ისაუბრა მან სატელევიზიო გადაცემა „სიმართლის დროში".

— ქალბატონი გულიკოს პირადი ცხოვრების დეტალები უკვე მოისმინა საზოგადოებამ. ჩვენ გვაინტერესებს მცხეთის კერამიკული ქარხნის წართმევის საქმე. რა მოხდა და რატომ?

— გულიკო ერისთავი დღემდე უსახლკაროდ არის დარჩენილი. იმ მძიმე წლებში, როცა ცხოვრება ძალიან გაჭირდა, ორი მცირეწლოვანი გოგონას ანაბარა დარჩენილმა ქალმა საქმის წამოწყება გადაწყვიტა. ის პროფესიით მხატვარია, ამიტომაც კონკურსის წესით 1994 წელს იყიდა ერთი პირის საწარმო ფირმა „ბარაკონი" 13 808 კვ. მეტრი მიწის ფართობით, მცხეთაში, სამხედროს ქ. 59-ში. ამის შესაძენად მან გაყიდა სახლ-კარი, სამკაულები, ნივთები და საწარმო აამუშავა. დაახლოებით 150 ქალი იყო დასაქმებული, კერამიკულ ნაკეთობებს აკეთებდნენ. უკვე ერთი წლის შემდეგ მან თავისი კერამიკული ნაწარმი ბერლინში გამართულ გამოფენაზე გაიტანა. 2002 წელს საერთაშორისო ოქროს მედალი მიიღეს მაღალმხატვრული და ხარისხიანი პროდუქციის წარმოებისთვის. ამ ქარხნის პროდუქცია საუკეთესო ნამუშევართა მსოფლიო კატალოგშია შეტანილი.

— ასეთი აღიარების შემდეგ, რატომ დატრიალდა უკუღმა ბედის ბორბალი?

— უცხოელები იმდენად დაინტერესდნენ ქართული ნამუშევრებით, რომ საქართველოში ჩამოვიდნენ. ვინაიდან ქ-ნ გულიკომ არ იცოდა, როგორ შეიძლებოდა განევითარებინა საწარმო, უცხოელებმა მას დახმარება აღუთქვეს. ევრობანკმა 300 ათასი დოლარი გამოუყო კრედიტის სახით, რაც, მართლაც, უპრეცედენტო ფაქტი იყო იმდროინდელ საქართველოში. თანხა უნდა ჩაერიცხათ ქართულ-ამერიკულ „აბსოლუტბანკში", რომლის სათაო ოფისი ამერიკაში იყო. ქალბატონმა გულიკომ გაიარა ყველა საბანკო ოპერაცია, როგორც ხდება ხოლმე, გარანტად ჩადო კერამიკის საწარმო და თანხის ჩარიცხვას დაელოდა.

უცხოელებმა თანხა მართლაც გადმორიცხეს, მაგრამ მას ბანკში უთხრეს, რომ მოვიდა ძალიან ცოტა თანხა. არადა, თურმე უკვე საკმაოდ დიდი ოდენობის ტრანშია ჩარიცხული. ქალბატონმა გულიკომ ამ 300 ათასი დოლარიდან, სულ რაღაც 20-25 ათასი დოლარის გატანა მოახერხა. ხოლო დანარჩენი მისცეს სხვას, ვინმე ივანე შენგელიას, რომელიც „საველიჩის" სახელით არის ცნობილი. ის იყო ბენზინგასამართი სადგურების მფლობელი, რომელიც ყალბი დოკუმენტების საფუძველზე თითქოსდა გარანტად დაუდგა გულიკო ერისთავს, ამ დროს კი ქალბატონმა გულიკომ ამის შესახებ არაფერი იცის. „საველიჩს" გააქვს ბანკიდან თანხები, ხოლო ნამდვილი ადრესატი ფულს ელოდება. სიჩქარეში დაუშვეს ერთი შეცდომა: ყალბი დოკუმენტების მიხედვით თითქოს ბანკიდან თანხა გააქვს ვინმე ასათიანს, საწარმო „ბარაკონის" დირექტორს, რომელიც არასოდეს არ ყოფილა დირექტორი. „საველიჩმა" შემდეგ აღიარა, რომ თანხა პირადად მას გაჰქონდა და ასათიანის გვარი იყო ფიქცია.

— როდის გაიგო ეს აფიორა ქალბატონმა გულიკომ?

— როცა ოფიციალურად მოგვმართა პარლამენტის საგამოძიებო კომისიას. ჩვენ დავინტერესდით ამ საქმით და ამ კომისიის სახელით დავიწყეთ ოფიციალური დოკუმენტების მოძიება.

იხ. 6 გვ.

უსამართლო სამართალი

დახვრეტილი ბერ-მონაზვნის თევდორე ჩიხლაძის ცოლყოფილს ქონება წაართვეს და გაასხვისეს

(მეხუთე გვერდიდან)

თუ შეიძლება „საველიჩის“ მიმართ რამე „კარგი“ ითქვას, ის არის, რომ მან ბოლომდე არ გაწირა გულიკო ერისთავი და საგარანტიო წერილი გააფორმა. გატანილი თანხის სანაცვლოდ, გარანტად ბენზინი მისცა ბანკს, რათა ამ ქალისთვის საწარმოო არ წაერთმიათ.

— რა შუაშია ამ ყველაფერთან „ქართუ“ ბანკი?

— „აბსოლუტბანკი“ რაღაც სხვა აფიორებთან დაკავშირებით სკანდალში გაეხვია, მისმა ერთ-ერთმა მმართველმა მილიონ დოლარზე მეტი მიითვისა და გაიქცა, ხოლო ბანკი გაკოტრებამდე მივიდა. ამის შემდეგ ეს ბანკი „ქართუმ“ შეიძინა და მისი მოვალეებიც და მევალეებიც თან მოჰყვა. ჩვენი ხელისუფლების თხოვნის შემდეგ, ბიძინა ივანიშვილმა საერთაშორისო აჟიოტაჟისაგან იხსნა ბანკი და პრობლემები ჩააცხრო.

იმისთვის, რომ დაეფარათ თაღლითური სქემა (რომ თანხა „ბარაკონმა“ კი არა, სხვა პიროვნებამ მიიღო) „აბსოლუტბანკის“ სალიკვიდაციო კომისიამ მიმართა სასამართლოს, რომ ვითომ „ბარაკონმა“ არ დაფარა კრედიტები, ანუ ქარხანა აუქციონზე უნდა გაიტანონ, რომ დაიფაროს კრედიტი...

— ეს ამბავიც არ იცის გულიკო ერისთავმა?

— რა თქმა უნდა, არ იცის. მან ისიც კი არ იცის, რომ თანხა მისი საწარმოს სახელზე უკვე ჩარიცხულია.

ეს ყველაფერი გაირკვა მაშინ, როცა ჩვენი — პარლამენტის საგამოძიებო კომისია (პირადად მე დამეწერა ეს საქმე) დაინტერესდა ერისთავის საქმით. მცხეთის მოსამართლე მზია პატარაშვილი არ ატყობინებს გულიკო ერისთავს, მაგრამ გამოაქვს გადაწყვეტილება „ბარაკონის“ აუქციონზე გატანის შესახებ. როცა მე ვუთხარი, ქალბატონო გულიკო, თქვენ რა თანხას ითხოვთ, როცა თქვენ საწარმოც კი არა გაქვთ-მეთქი, სახტად დარჩა.

— მოსამართლე პატარაშვილმა იცოდა, რომ ყალბ საქმეს მოჰკიდა ხელი და ამიტომაც გამოიტანა ნაჩქარევი გადაწყვეტილება?

— მან ყველაფერი დეტალურად იცოდა. მოსამართლემ ყალბი საბუთების შეთითხვნით გაიტანა აუქციონზე ქარხანა და გაყიდა.

14 ტომი შეადგინა გულიკო ერისთავის საქმემ.

უშიშროების და სხვა სამსახურების ჩარევის შემდეგ ჩამოიყვანეს საზღვარგარეთ გაქცეული „საველიჩი“, მაგრამ მართლმსაჯულება მხოლოდ იმით შემოიფარგლა, რომ 17 ათასი ლარის ოდენობის საპროცესო შეთანხმების შემდეგ, ერთ დღეში უკანვე დააბრუნა.

ბანკმა „ქართუმ“ აიღო პაკეტი და მიართვა აშშ-ს სათაო ოფისს, სადაც დაიწერა, რომ „ბარაკონმა“ გაიტანა თანხა, ვერ დაფარა კრედიტი, ამიტომ გაიყიდა გარანტად ჩადებული საწარმო და ამით პროცესიც მორჩა.

— როგორ განვითარდა მოვლენები ამის შემდეგ?

— „აბსოლუტბანკის“ მიმართ უშიშროების სამინისტრომ 1999 წელს აღძრა სისხლის სამართლის საქმე და გაკოტრებულად გამოაცხადეს. მას ჩაენაცვლა „ქართუ“ ბანკი. „ქართუს“ დირექტორმა 2001 წელს გიორგი ჩრდილელმა აღიარა, რომ „ბარაკონის“ კუთვნილი მიზნობრივი კრედიტი მან გასცა უცხო პირზე, როცა ის „აბსოლუტბანკში“ მუშაობდა. ისიც საკითხავია, რატომ ჩაუდგნენ სათავეში „ქართუ“ ბანკს „აბსოლუტბანკის“ დანაშაულობებში მხილებული პირები, მაგრამ ეს სხვა საქმეა.

კიდევ უფრო საინტერესო ის არის, რომ პარალელურ რეჟიმში მიდის გულიკო ერისთავის ქონების დატაცება, რომელიც ასევე არ იცის მეპატრონემ. როგორც კი 1997 წელს მან ბანკთან გაფორმა ხელშეკრულება, ნახეს, რომ თანხა ჩაირიცხა და წარმოება ფართოვდება, ეს ვიღაცას ხელს არ აძლევდა. 1997 წ. 31 დეკემბერს, ახალი წლის წინა დღეს, ვინმე ზვიად მგალობლიშვილი, რომელიც არ არის მცხეთელი, წერს განცხადებას და ითხოვს ქ. მცხეთაში, სწორედ ქარხნის ტერიტორიის მისამართის მითითებით გამოუყონ 1500 კვ.მ. მიწის ფართი სასურსათო კვების ობიექტის გასახსნელად (ვინ მოიცალა ამისთვის, საინტერესოა). მცხეთის გამგეობის დადგენილებით, ეს განცხადება კმაყოფილდება, ანუ სახელმწიფომ კერძო მესაკუთრეს წაართვა ქონების ნაწილი. ქალბატონი გულიკო რამდენიმე ხნის შემდეგ იწყებს ბრძოლას მგალობლიშვილის წინააღმდეგ, ამ დროს კი, არ იცის, რომ არათუ მიწის ნაწილი, არამედ ქარხანაა გაყიდული. მცხეთის მოსამართლე ჭალიძე იღებს სამართლიან გადაწყვეტილებას და აკმაყოფილებს ერისთავის სარჩელს. მაგრამ მგალობლიშვილი განცხადებით მიმართავს მეორე მოსამართლე პატარაშვილს (რომელმაც ერთხელ უკვე გაყიდა ეს ქარხანა) და პატარაშვილი აუქმებს ჭალიძის განაჩენს. ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა ქართულ მართლმსაჯულებაში, როცა იმავე სტატუსის მქონე მოსამართლე აუქმებს გვერდით ოთახში მჯდომი მოსამართლის გადაწყვეტილებას; და ის მიწას უბრუნებს მგალობლიშვილს.

გულიკო ერისთავი

როცა ჩვენთან მოვიდა გულიკო და ეს ყველაფერი გავარკვიეთ, თვალებს არ ვუჯერებდი. მაგრამ ამ ყველაფრის გარკვევას და შემდეგ სამართლის პოვნას მოვუნდით ზუსტად ექვსი წელიწადი. სასამართლო პროცესები მოვიგეთ მხოლოდ 2004-2005 წლებში.

— რით დამთავრდა „გათავხედებული“ მოსამართლის საქმე?

— მის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და ჩამოერთვა საქმიანობის უფლება. გულიკო ერისთავს კუთვნილი ქონება დაუბრუნეს.

— და როგორც ვიცით, სწორედ აქედან იწყება ისევ ახალი პრობლემები?

— მთავარი უბედურება... როგორც ჩანს, ამ ქალბატონს ვიღაც ჰყავდა საგადასახადო ინსპექციაში და არ ვიცი, ვინ როგორ ჩაერია, მაგრამ გადაწყვიტეს, რომ „ბარაკონი“ მეორედ წაერთმიათ მეპატრონისთვის.

— ამჯერად რას ედავებიან?

— 2005 წლიდანვე მცხეთის სამართლიანი გადაწყვეტილებით, ეს ქონება ოფიციალურად ეკუთვნოდა ქალბატონ გულიკოს. ეს ქონება ბანკმა „ქართუმ“ ბანკ „აბსოლუტბანკისგან“ ნასყიდობის ხელშეკრულებით, ანუ ეს ქონება ბანკ „ქართუს“ ეკუთვნოდა. ეს ბანკი ბანკ „ქართუ

◎ თემის გაგრძელება

პატივცემულო რედაქცია,
ამას წინათ თქვენს გაზეთში წავიკითხე პროფესორ თამაზ შილაკაძის პროფესიულად ამომწურავი წერილი, თუ შეიძლება ასე ითქვა, აბრეშუმის გზის თავგადასავალზე. მეც, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების მომავალი სპეციალისტი, ახლა ამ თემაზე ვმუშაობ. სწორედ ბატონ თამაზ შილაკაძის პუბლიკაციით შთაგონებული გთავაზობთ ჩემს მცირე ნამუშევარსაც. იქნებ ივარგოს კიდეც გაზეთისთვის.

დიდი აბრეშუმის გზის ახალი სიცოცხლე

ძველი აღმოსავლეთის უძველესი ცივილიზაციის ცენტრებთან სიახლოვემ და ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ ხელი შეუწყო ქართველ ხალხს ადრეულ პერიოდშივე დამდგარიყო ცივილიზებული ცხოვრების გზაზე და დაუღალავი შრომითა და ბრძოლით შეექმნა საკუთარი მაღალი კულტურა და თავისთავადობა.

სწორედ ხელსაყრელმა გეოგ- ლალხარისხოვანი აბრეშუმი შემოჰქონდათ. ეს მსოფლიო მაგისტრალი „აბრეშუმის დიდ სავაჭრო გზად" იწოდა. „აბრეშუმის გზა" სხვადასხვა ხალხისთვის გამდიდრების გარდა (აბრეშუმის ფასი იმ ხანად ოქროსას უტოლდებოდა), კოლტურათა არტერიაც იყო. ასეთ როლს ასრულებდა იგი ამიერკავკასიის (ქართლი, ეგრისი, სომხეთი, ალბანეთი) და ჩრდ.კავკასიის ხალხებისთვის.

გზის საქართველოსა და კავკასიის მონაკვეთის აღორძინების იდეა დაიბადა XX ს-ის დასასრულს. დიდი აბრეშუმის გზისადმი ინტერესი მანამდე თუ მეცნიერული იყო, კასპიის ნავთობისადმი დასავლეთის პოლიტიკური და ეკონომიკური წრეების მხრიდან ყურადღების გააქტიურებამ და საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების ინიციატივის მხარდაჭერამ, აბრეშუმის ძველ გზას ახალი სიცოცხლე შესძინა. შეიქმნა ევრაზიული დერეფანი (ტრასეკა), ანუ ახალი დიდი აბრეშუმის გზა, მხოლოდ ამჯერად, ჩინური და შუა აზიური აბრეშუმის მაგივრად, ენერგომატარებლების გატარება წარმოებს რუსეთისა და ირანის გვერდის ავლით. ამ კორიდორის შექმნას მხარი დაუჭირეს აშშ-მ და ევროკავშირმა.

კასპიის ადრეული ნავთობის ტრანსპორტირება სუფსის ტერმინალზე ხორციელდება რკინიგზით. ყოველდღიურად მილიონობით ტონა ტრანზიტული ტვირთი (ნავთი, ნავთობპროდუქტები, ბუნებრივი გაზი) გა-

რაფიულმა მდებარეობამ განაპირობა ისიც, რომ ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზები, უძველესი დროიდან არსებული დიდი საერთაშორისო სახმელეთო, საზღვაო და სამდინარო სავაჭრო გზათა სისტემის შემადგენელი ნაწილი იყო.

ცნობილია, რომ ძვ.წ. IV-III საუკუნეებიდან ვაჭრობამ ფართო საერთაშორისო ხასიათი მიიღო. ამ დროს წარმოიშვა დიდი სავაჭრო-სატრანზიტო გზა, რომელიც ინდოეთში იწყებოდა. შუა აზიიდან სანაოსნო იყო — მდინარე ოქსოსით (ახლანდელი ამურდარია. იმ ხანად კასპიის ზღვას ერთვოდა), კასპიის ზღვით, მტკვრით, სურამის უღელტეხილითა და მდ.ფაზისით (მდ.რიონი) შავი ზღვის სანაპიროს ქ.ფაზისთან (ახლანდელი ფოთი) აღწევდა. აქედან კი მცირე აზიისა და ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქალაქებს უკავშირდებოდა.

ძველ საქართველოში არსებული სავაჭრო გზები ანტიკური ხანის ბერძენ-რომაული ავტორების თხზულებებშიც აისახა. ქართლის სამეფოს აღწერისას ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი (ძვ.წ.64-63 ახ.წ. 23-24) ამბობს, რომ ერთი გზა შავი ზღვიდან მდ.ფაზისის (რომელზეც 120 ხიდია) აყოლებით და ციხესიმაგრე სარაპანისზე (შორაპანი) გავლით შედის იბერიასა და მის დედაქალაქ მცხეთაში. მეორე — ალბანეთიდან (აზერბაიჯანი) შემოსასვლელი გზა ჯერ კლდეშია გაჭრილი, ხოლო შემდეგ გადის ჭაობზე, რომელსაც ქმნის მდ.ალაზონისი (ე.ი.ალაზანი).

ხოლო არმენიიდან შემოსასვლელი არის მტკვრის ვიწროებზე. მეოთხე გზა დარიალის ხეობითა და არაგვის დინების გაყოლებით მიემართებოდა „ჩრდილოეთის მომთაბარე ქვეყნებიდან". ეს ოთხი გზა თავს იყრიდა ქართლის სამეფოს დედაქალაქ მცხეთაში. ჩვენთვის ამ გზათაგან ყველაზე საინტერესოა ის გზა, რომელიც სტრაბონისავე მონაცემებით ინდოეთიდან და ჩინეთიდან მოდიოდა და იბერიასა და კოლხეთის გავლით ჩადიოდა ქ.ფაზისში. ეს იყო დიდი, საერთაშორისო მნიშვნელობის სავაჭრო გზა. ამ გზით იწყება დიდი აბრეშუმის გზის მსოფლიო ისტორია. ამ გზით ჯერ რომის, შემდეგ კი ე.წ. „მეორე რომის (ბიზანტიის) იმპერიაში მა-

დიდი აბრეშუმის გზა დიდი დიპლომაციის გზაც იყო. ამ გზაზე მიმავალ აქლემთა ქარავნებს ხშირად თან მიჰყვებოდნენ ელჩები, დესპანები, დიპლომატიური მისიები. ასე, მაგალითად: ძვ.წ.აღ. 166 წლის ჩინურ ანალებში არის ცნობა რომიდან ჩინეთში იმპერატორ მარკუს ავრელიუსის ელჩობის ჩასვლის შესახებ.

საქართველოზე გამავალმა დიდმა სავაჭრო გზამ ძვ.წ.აღ-ის მე-3 საუკუნიდან მოყოლებული მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში, ამასთან იყო დაქვეითების პერიოდები, როცა მტერი გვესხმოდა თავს, განსაკუთრებით დამანგრევლად იმოქმედა ქვეყნის ეკონომიკაზე ირანელთა და არაბთა შემოსევებმა. როგორც ცნობილია, საქართველო ეკონომიკურად და პოლიტიკურად ძლიერ სახელმწიფოდ იქცა დავით აღმაშენებლის, გიორგი მესამისა და თამარის მეფობის პერიოდში. იმ ხანად, როგორც ივ.ჯავახიშვილი აღნიშნავს, „არ მოიპოვებოდა ისეთი საგანი, რომელიც ბაზარზე არ ტრიალებდა"... მაგრამ საქართველოს მტერი არ ელოდა, მტრები ანადგურებდნენ და ძარცვავდნენ ქვეყანას, არ იყო ერთიანობა ქვეყნის შიგნითაც. ბიზანტიის დაცემის შემდეგ (1453 წ.) მას ახალი საშიში მტერი გაუმეზობლდა ოსმალეთის სახით. ამას მოჰყვა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები, საქართველო მოწყდა ახალ საერთაშორისო სავაჭრო გზებს, რამაც გამოიწვია მისი ეკონომიკურად და პოლიტიკურად დაქვეითება.

დიდი აბრეშუმის მსოფლიო დის საქართველოს ტერიტორიაზე, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით და აზერბაიჯანისა და საქართველო-თურქეთის გაზსადენით.

ტრასეკას გზა ცენტრალური აზიიდან ევროპამდე საქართველოზე გავლით, გაცილებით მოკლეა, ვიდრე მისი ალტერნატიული გზები. ამ ტრასას ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. იგი უზრუნველყოფს საქართველოს მოსახლეობას ნავთობითა და გაზით და ამავე დროს ხელს უწყობს ბიუჯეტის შევსებას. ამავე დროს მნიშვნელოვან როლს თამაშობს სამხრეთ კავკასიის, ცენტრალური აზიის ეკონომიკური განვითარებისა და ამ რეგიონების პოლიტიკური სტაბილიზაციის თვალსაზრისით.

თუ მეფე ფარნავაზის დროინდელი ქართლის სამეფოს გაძლიერება შორეულ ისტორიულ წარსულში მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული საქართველოზე გამავალი დიდი სავაჭრო გზის განვითარებასთან, დღეს აბრეშუმის გზის ახალი სიცოცხლე არა მხოლოდ დამოუკიდებელი საქართველოს განვითარების მნიშვნელოვანი საშუალებაა, არამედ მთელი რეგიონისაც.

მარიკა ლაზვიაშვილი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის მე-3 კურსის სტუდენტი

◎ დახმარება

კლიმატის ცვლილების შესარბილებლად

ამ ბოლო დროს დედამიწაზე მომხდარი კატაკლიზმები, რომელთა დიდ ნაწილს მკვლევარები გლობალურ დათბობას უკავშირებენ, იმის კიდევ ერთი დამატებითი მძლავრი ფაქტორია, რომ ქვეყნების მთავრობებმა და მომხმარებლებმა ენერგოშემცველები უფრო ნაკლებად გამოიყენებენ, რასაც რამდენიმე დადებითი მხარე აქვს: მნიშვნელოვნად დაიზოგება ფინანსური სახსრები, გახანგრძლივდება ელექტროსადგურებისა და ხაზების ამორტიზების პერიოდი, ნაკლები ინტენსივობით დაიხარჯება ელექტროენერგია და წიაღისეული საწვავი (ნავთობი, გაზი, ქვანახშირი), რის შედეგად ატმოსფეროში უფრო ნაკლები ნახშირორჟანგი გაიფრქვევა, რომელიც დედამიწაზე ეგრეთ წოდებული „სათბურის ეფექტის" ერთ-ერთი მთავარი მიზეზია.

ამ მიზნების მიღწევას მსოფლიოში არაერთი სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაცია ესწრაფვის, მათ შორის, ცხადია ევროკავშირი, რომლის ტექნიკური თანამშრომლობის პროგრამა გაისად, წლის პირველ ნახევარში, ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქალაქების მერთა შეთანხმების მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში, შესაბამისი პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით განაცხადებს მიიღებს. მთლიანად პროგრამის ღირებულება 2,5 მილიონი ევრო იქნება.

პროექტის განხორციელება აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის, ასევე სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მხარდაჭერას, პირველ ყოვლისა, **წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებულების შემცირებისა და ენერგომიწოდების უსაფრთხოების განმტკიცებას გულისხმობს. ამით ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებელ პირებს კლიმატის ცვლილების შერბილების პროცესში ჩართვის შესაძლებლობა მიეცემათ.**

განცხადების შეტანის შემდეგ ადგილობრივმა ხელისუფლებამ სერვისებზე ტენდერები უნდა გამოაცხადონ, ასევე ადმინისტრაციულად შეთანხმდნენ ევროკომისიის ერთობლივ კვლევითს ცენტრთან. ამასთან აღსანიშნავია, რომ პროექტთან დაკავშირებით ევროკომისიის გადაწყვეტილების შესახებ, კლიმატოლოგიის პროცედურისა და საპარლამენტო შემოწმების შემდეგ, ზაფხულში გახდება ცნობილი.

ალსანიშნავია, რომ წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებულების შემცირების, ენერგომიწოდების უსაფრთხოების განმტკიცების, ასევე სტაბილური ენერგეტიკული პოლიტიკის გატარებისთვის ადგილობრივ ხელისუფლებას პროგრამის ფარგლებში სათანადო მხარდაჭერა და წახალისება ექნება.

პროგრამით გათვალისწინებულია იმ ქალაქების ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერა, რომლებიც მერების შეთანხმებას შეუერთდებიან, ასევე მოამზადებენ და განახორციელებენ მდგრადი ენერგეტიკული განვითარების სამოქმედო გეგმებს.

ოთარ ტურაბელიძე

◎ ინფორმაცია თემაში

ტექნიკური დახმარების პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ალბანეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს, ბელარუსის, უკრაინის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, მოლდოვის, ტაჯიკეთის, უზბეკეთისა და თურქმენეთის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს. განცხადებების მიღება 2011 წელს დაიწყება. თითოეული პროექტის საერთო ღირებულების მაქსიმუმ 80 პროცენტი პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება, დანარჩენი ხარჯი კი ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა გასწიოს.

◎ ინფორმაცია თემაში

პროექტი ითვალისწინებს:

- ***მერების შეთანხმებით შეერთებულ ქალაქთა რიცხოვნობის მნიშვნელოვან ზრდას;***
- ***კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ენერგეტიკული საკითხების გადაწყვეტაში ადგილობრივი ხელისუფლების პოტენციალის მატებას;***
- ***მერების შეთანხმებასთან დაკავშირებული ენერგეტიკული სამოქმედო გეგმის ხორცშესხმას, ან ანალოგიურ ღონისძიებათა დაგეგმვასა და განხორციელებას.***

◎ ინფორმაცია

ირანთან ურთიერთობები ამერიკას არ გადაგვამტერებს

„ირანთან უვიზო რეჟიმის შემოღება საქართველო-აშშ-ს ურთიერთობებზე უარყოფითად არ აისახება, — ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ განაცხადა.

კალანდაძის განმარტებით, აშშ საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია და აღნიშნულთან დაკავშირებით აქტიური კონსულტაციები ამერიკულ მხარესთან მიმდინარეობს, მათ შორის ირანთან თანამშრომლობის საკითხზე.

— ირანთან უვიზო რეჟიმის დამყარება ჩვენს ნაციონალურ ინტერესებს არ ეწინააღმდეგება, წინააღმდეგ შემთხვევაში ამას არც გავაკეთებდით, რაც შეეხება საქართველო-ამერიკის ურთიერთობის გართულებას, ამ კუთხით საფრთხე ნამდვილად არ გვემუქრება. აშშ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია და მასთან მეგობრულ თანამშრომლობას განვაგრძობთ, ასევე აქტიურად განვიხილავთ სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებს, მათ შორის ირანთან თანამშრომლობის, — აღნიშნა კალანდაძემ.

მისივე შეფასებით, საქართველოს და ირანს შორის უვიზო მიმოსვლის დამყარება ეკონომიკური კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ᲮᲘ-ᲔᲘᲠ-ᲔᲜᲘ

© რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

სააკაშვილი მომავალი პრეზიდენტისთვის ადგილს აბევებს

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი შაბათს მმართველი პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივის წინაშე გამოვიდა პროგრამული სიტყვით, რომელიც მიეძღვნა 30 მარტის მომავალ ადგილობრივ არჩევნებს. მეთვალყურეების აზრით, ხმის მიცემა იძლება საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტის იმ არჩევნების გენერალური რეპეტიცია, რომლებიც 2012 და 2013 წლებში უნდა გაიმართოს. არჩევნების შედეგები ბევრად განსაზღვრავს თავად ბატონ სააკაშვილის პოლიტიკურ მომავალს. როდესაც აამოქმედა ოპერაცია „მემკვიდრე“ ძვეყნის შიგნით, ამავე დროს მან წამოიწყო ახალი თამაში საგარეო პოლიტიკაში, როდესაც დაიწყო ირანთან დემონსტრაციული დაახლოება

მიხეილ სააკაშვილის შეხვედრა პარლამენტის დეპუტატებთან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“, რასაც პრაიმ ტაიმში გადასცემდნენ საქართველოს ტელეარხები, გახდა პრეზიდენტის გუნდის ყველაზე ძლიერი პროპაგანდისტული ქუხილი საარჩევნო რბოლის მთელი ხნის განმავლობაში. სავსებით შესაძლებელია, ეს ქუხილი უკანასკნელი აღმოჩნდეს – ადგილობრივ ორგანოებში არჩევნები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გაიმართება უკვე 30 მაისს.

„საარჩევნო კამპანია შედის დასკვნით სტადიაში და ჩვენ, როგორც ყველაზე ორგანიზებულ და წამყვან პოლიტიკურ ძალას საქართველოში, გვეკისრება ორმაგი პასუხისმგებლობა“, – განაცხადა ბატონმა სააკაშვილმა. – მიუხედავად ყველა სიძნელისა, ჩვენ უნდა მაქსიმალურად შევინარჩუნოთ რეფორმების კურსი და საქმე ბოლომდე მივიყვანოთ. და მეორე, ჩვენ ეს არჩევნები უნდა მოვაწყოთ სანიმუშოდ ისე, რომ არავის ჰქონდეს საბაბი ჩვენი დადანაშაულებისა“. მეორე ამოცანა, მისი სიტყვებით, განსაკუთრებით აქტუალურია, ვინაიდან „ვიღაცა აუცილებლად დაიწყებს ყვირილს, რომ არჩევნები გაყალბებული იყო“. „მიუხედავად ერთი ქვეყნის ყველა მცდელობისა, დაანგრიოს საქართველო, არჩევნებს ჩვენ ორგანიზებულად გავმართავთ“, – განაცხადა პრეზიდენტმა.

თავისი გამოსვლის უდიდესი ნაწილი ბატონმა სააკაშვილმა მიუძღვნა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოპონენტების კრიტიკას. „ისინი გვპირდებიან უფასო ჯანმრთელობის დაცვას, უფასო წამლებს, უფასო კვებას, უფასო ტრანსპორტს, უფასო ცხოვრებას და, საერთოდ, სრულ კომუნიზმს. ალბათ, მალე ხალხს დაჰპირდებიან მარსსა და მთვარეზე გაფრენასაც, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა. – მაგრამ თუ ჩვენს ქვეყანაში არიან გაჭირვებულები, ეს როდი ნიშნავს, რომ შეიძლება მათი გასულელება. იაპონიის ბიუჯეტიც რომ ათზე გავამრავლოთ, ისიც კი არ ეყოფა ყველა დანაპირების ნახევრის შესრულებასაც კი“. ოპოზიციისგან განსხვავებით, პრეზიდენტის სიტყვებით, მმართველი პარტია „არასოდეს დაჰპირდება ზედმეტს და ყოველთვის შეასრულებს დანაპირებს“. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ძირითად დამსახურებას კი იგი ხედავს შემდეგში: „ჩვენ დავამკვიდრეთ ახალი სტანდარტი, ყოველთვის ვილაპარაკოთ სიმართლე. ყოველ შემთხვევაში, როგორც მინიმუმი, არ ვცრუობთ“.

პრეზიდენტის არაჩვეულებრივი აქტივობა, როდესაც თავისი პარტიის აგიტაციისთვის იყენებს ნებისმიერ შესაძლებლობას, სავსებით გასაგებია. 30 მაისის არჩევნები გახდება 2012 წლის პარლამენტისა და 2013 წლის პრეზიდენტის არჩევნების გენერალური რეპეტიცია.

ექსპერტების აზრით, ოპოზიციონერებიდან ქალაქის მერად გახდომის სერიოზული შანსი აქვთ მხოლოდ ოთხს: ირაკლი ალასანიას, გოგი თოფაძეს, გიორგი ჭანტურიას და ზვიად ძიძიგურს. მაგრამ მათგან ყველაზე პოპულარულის ირაკლი ალასანიას რეიტინგიც კი 17 პროცენტს არ აღემატება.

სამაგიეროდ, თბილისის მოქმედ მერს გიგი უგულავას, რომელსაც მხარს უჭერს ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ყველა გამოკითხვა აკუთვნებს დაახლოებით 57 პროცენტს. იმისთვის, რომ გაიმარჯვოს პირველ ტურში, საჭიროა დააგროვოს ხმების უმრავლესობა. ამასთან დაკავშირებით ბატონ უგულავას მიერ საკუთარი საყვარძლის შენარჩუნებაში ეჭვებიც კი არ არსებობს.

გიგი უგულავა აქტიურად ეწევა „მაგარი მეურნის“ სახის ექსპლუატაციას. ამომრჩევლებთან და ჟურნალისტებთან საუბრის დროს ის ლაპარაკობს თბილისში ცხოვრების მხოლოდ გაუმჯობესების და არა დიდი პოლიტიკის შესახებ. ამას გარდა, ბატონი უგულავა არის ლამის ერთადერთი კანდიდატი, რომელიც აცხადებს, რომ არ აქვს საპრეზიდენტო ამბიციები. დამოუკიდებელი ექსპერტი ნიკა იმნაიშვილი მიიჩნევს, რომ სწორედ ამით აიხსნება დღევანდელი მერის მაღალი რეიტინგიც.

სხვათა შორის, იმასთან დაკავშირებით, რომ გამარჯვების შემთხვევაში გიგი უგულავა არ წავა პრეზიდენტის არჩევნებზე 2013 წელს, ჩვენს მიერ გამოკითხული ექსპერტები დიდ ეჭვს გამოთქვამენ. საქმე ისაა, რომ ბატონი უგულავა პრეზიდენტ სააკაშვილის ერთ-ერთ უახლოეს თანამებრძოლად ითვლება. ამასთან, პრეზიდენტის სხვა ფავორიტებისგან განსხვავებით, როგორიც იყო თავდაცვის ექს-მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი (რომელიც ამჟამად ევროპაში ცხოვრობს, როგორც პოლიტემიგრანტი), ან იგივე ზურაბ ნოღაიდელი, გიგი უგულავა მეტად ერთგულია პიროვნულად თავისი პატრონისა. მიხეილ სააკაშვილი კი ბატონი უგულავას ფოტოსაც კი ატარებს გულის ჯიბეში. ეს ჟურნალისტებმა გაიგეს გასულ ხუთშაბათს, როდესაც პრეზიდენტი მერთან ერთად თბილისში საავტომობილო გვირაბს ხსნიდა. როდესაც ცერემონიის ადგილზე მივიდა, მიხეილ სააკაშვილმა გულის ჯიბიდან ამოიღო და აჩვენა ჟურნალისტებს ფოტოსურათი 9 X 13-ზე, რომელზეც აღბეჭდილი იყო ბატონი უგულავა. „გიგის შეუძლია მშენებლობაც, პურის ცხობაც და ეს გვირაბიც მან ააშენა“, – თქვა მან და სიყვარულით გადაუსვა ხელი ფოტოსურათს.

ექსპერტების აზრით, ეს ყოველივე გიგი უგულავას ხდის იდეალურ კანდიდატად 2013 წლის არჩევნებისთვის, რომელშიც მიხეილ სააკაშვილს არ შეეძლება მიიღოს მონაწილეობა კონსტიტუციური შეზღუდულობის გამო: ამჟამად დასასრულს უახლოვდება მისი მეორე ვადა. პრეზიდენტის მთელი გუნდიდან სწორედ გიგი უგულავა არის ყველაზე ხელსაყრელი კანდიდატი. თანაც თუ იგი გაიმარჯვებს არჩევნებში თბილისში, მისი შანსი 2013 წელს მეტად გაიზრდება.

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ოპერაციის – „მემკვიდრე“ – განხორციელებით ბატონ სააკაშვილს შეუძლია გამოიყენოს თავისი მტრის ვლადიმერ პუტინის გამოცდილება და დაიკავოს პრემიერის სავარძელი. მით უმეტეს, რომ უკანასკნელ პერიოდში თბილისმა აიღო კურსი საქართველოს საპარლამენტო რესპუბლიკად გადასაქცევად, შესაბამისი შესწორების პროექტი კონსტიტუციაში უკვე შატანილია პარლამენტში. როგორც საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ ავთანდილ დომეტრაშვილმა არაორაზროვნად განაცხადა, 2012 წლის არჩევნები გაიმართება ახალი კონსტიტუციის შესაბამისად, ასე რომ, „თუ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა გაიმარჯვებს, მას ექნება უფლება პრემიერის პოსტზე შესთავაზოს ნებისმიერი კანდიდატი, მათ შორის მიხეილ სააკაშვილისაც“.

სხვათა შორის, ამ გეგმის წარმატებული განხორციელებაც კი ძნელად რომ მისცემს მიხეილ სააკაშვილს იმის საშუალებას – იგრძნოს თავი მშვიდად. უკანასკნელი წლის განმავლობაში მან ხომ გააუარესა ურთიერთობა არა მხოლოდ რუსეთთან, არამედ საქართველოს ეკონომიკის ძირითად სპონსორთან – ამერიკის შეერთებულ შტატებთანაც. ხელისუფლებაში ბარაკ ობამას მოსვლასთან ერთად ვაშინგტონი ბატონ სააკაშვილთან ურთიერთობაში ავლენს ხაზგასმულ ცივ დამოკიდებულებას. იგივე ხაზს ახორციელებენ ბრიუსელი და ევროკავშირის წამყვანი ქვეყნები. დაბოლოს, უკრაინაში არჩევნებისა და პოლონეთის პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკის დაღუპვის შემდეგ, ბატონმა სააკაშვილმა დაკარგა ყველაზე ერთგული მოკავშირეები აღმოსავლეთ ევროპაშიც.

ასეთ პირობებში თბილისმა დაიწყო სარისკო თამაში. გასულ უქმე დღეებში საქართველოში ვიზიტით ჩამოვიდა ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის მოადგილე რამინ მეხმანპარასტი.

თავის კოლეგა ნინო კალანდაძესთან მოლაპარაკების შედეგებთან დაკავშირებით ბატონმა მეხმან-პარასტიმ განაცხადა, რომ თეირანს სურს საქართველოსთან თანამშრომლობის გაღრმავება და მზად არის თავისი რესურსებითა და პოტენციალით ხელი შეუწყოს მეგობარი ქვეყნის განვითარებას“. უფრო მეტიც, ირანელმა დიპლომატმა თქვა, რომ მისი ქვეყანა „უსიტყვოდ უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ქვეყნის საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში“, რითაც კალანდაძის მხურვალე მხარდაჭერა მიიღო.

მაგრამ მხოლოდ განცხადებებით მეგობრობის შესახებ არ შემოფარგლულან. დიპლომატებმა განაცხადეს, რომ თეირანში მალე გაიმართება საქართველო-ირანის კომისიის სხდომა ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების საკითხებზე, რომელზეც მიიღებენ გადაწყვეტილებას უვიზო რეჟიმის შემოღების შესახებ. ამას გარდა, თეირანი დაჰპირდა, რომ მოახდენს ჰიდროენერგეტიკისა და სოფლის მეურნეობის ინვესტირებას, აგრეთვე „განიხილავს საკითხს ბუნებრივი გაზის მიწოდების შესახებ“.

ქართველი ექსპერტების აზრით, ირანთან მეგობრობის დემონსტრაცია მიხეილ სააკაშვილს დასჭირდა ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან ყურადღების მისაპყრობად. „ჩვენი ხელისუფლება აშკარადაა დაახლოებული დასავლეთთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან, რომლებიც, მათი აზრით, არასაკმარისად გვიჭერდნენ მხარს რუსეთთან ბრძოლაში, – გვითხრა დამოუკიდებელმა ექსპერტმა გიორგი ხუხაშვილმა. – მაგრამ ეს ემოციებია, ემოციები კი პოლიტიკაში მეტად სახიფათოა. მით უმეტეს, როდესაც საკითხი შეეხება ირანს“.

გიორგი დვალი,
ალექსანდრ გაგუევი

Коммерсант

მოსკოვს თბილისთან მეგობრობა სურს

რუსეთი ცდილობს დაამყაროს კარგი სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობა საქართველოსთან. სწორედ ამისთვის აწყობს კრემლი შეხვედრებს ოფიციალური თბილისის ოპოზიციონერ პოლიტიკოსებთან. ამავე დროს მოსკოვი საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევას არ აპირებს. ამის შესახებ განაცხადა ვლადიმერ პუტინმა ტელერადიო კომპანია „მირთან“ ინტერვიუს დროს

პრემიერმა აღნიშნა აგრეთვე, რომ ქართველი ხალხი მეგობრულად არის განწყობილი რუსეთთან, ხოლო ურთიერთობათა გაცივებაში ქვეყნებს შორის დამნაშავეა რესპუბლიკის ამჟამინდელი ხელისუფლება. „ის, რაც მოხდა უკანასკნელ წლებში – ეს, რბილად რომ ვთქვათ, არის საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების დანაშაულებრივი პოლიტიკის შედეგი“, – მიუთითა პუტინმა.

როდესაც მოძრაობა „ერთიანი საქართველოს“ ლიდერზე ნინო ბურჯანაძეზე საუბრობდა, ვლადიმერ პუტინმა შეგვახსენა, რომ ბურჯანაძე არც ისე დიდი ხნის წინათ პოლიტიკურად ახლოს იყო მიხეილ სააკაშვილთან. „დიალოგი იმ ხალხთან, ვისთანაც არც ისე დიდი ხნის წინათ საკმაოდ რთული იყო საუბარი – კარგი წინაპირობაა იმისთვის, რომ მოწესრიგდეს ურთიერთობანი საქართველოსთან და დამყარდეს ნორმალური სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობანი“, – ხაზგასმით აღნიშნა რუსეთის პრემიერმა.

რუსეთში ნინო ბურჯანაძის გარდა უკანასკნელ პერიოდში ხშირად არის საქართველოს ექს-პრემიერი ზურაბ ნოღაიდელი. ბოლოს, 8 მაისს ორივე პოლიტიკოსი ვლადიმერ პუტინთან ერთად მონაწილეობდა პოკლონნაია გორაზე ქუთაისში დანგრეული დიდების მემორიალის ღირსსახსოვრად მონუმენტის საფუძველის ჩაყრაში.

მოსკოვის სერიოზულ განზრახვაზე კვლავ დაუმეგობრდეს თბილისს, მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სიტყვებით, პუტინმა რუსეთის ექს-პრემიერ ევგენი პრიმაკოვს მისცა წინადადება ხელი მოჰკიდოს საქართველოს საკითხს.

გასული კვირის ბოლოს კი პოლონეთის ყოფილმა პრეზიდენტმა ალექსანდრ კვასნევსკიმ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ნინო კალანდაძეს აცნობა, რომ საქართველო მზადაა აწარმოოს მოლაპარაკება რუსეთთან. თუმცა კალანდაძემ იქვე განაცხადა, რომ საქართველოს მხარე ისაუბრებს მხოლოდ მას შემდეგ, როცა მოსკოვი უარს იტყვის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებაზე.

Vzgo.ru

პიოტრ სტრავინსკი

დედამიწის ზურგზე

ვულკანი ეიიაფიიადლაიოკუდლი შეწყვეტს ევროპელების დაშინებას, წინასწარმეტყველებენ ბრიტანელი მეცნიერები

ფერფლის ღრუბელი მალე გაქრება, დარწმუნებული არიან ბრიტანელები. ისლანდიელი მეტეოროლოგების მონაცემებით, „24 მაისისთვის ამოფრქვევა თითქოს მინელდა“. მაგრამ, მართალია, კუნძულმა ჯერჯერობით მიიძინა, მიწის ქერქის მოძრაობა მის ქვეშ გრძელდება და უფრო ძლიერი ვულკანის ქცევის წინასწარ განჭვრეტა ჯერჯერობით შეუძლებელია.

* * *



ბარაკ ობამამ გასცა ბრძანება, გადაისინჯოს პოლიტიკა კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დაკავშირებით სამხრეთ კორეის კორვეტის აფეთქების შემდეგ

თეთრი სახლის წარმომადგენელმა ჩრდილოეთ კორეის მოქმედება მიიჩნია არა მხოლოდ აგრესიულად, არამედ დამაშინებლადაც. ობამამ მოუწოდა აგრეთვე პენტაგონს ითანამშრომლოს სამხრეთ კორეის ხელმძღვანელობასთან. შეერთებული შტატები მთლიანად უჭერს მხარს კორეის რესპუბლიკის მთავრობას და მის მიერ მიღებული ზომები მიაჩნია ადეკვატურად.

* * *



„დი ტაიმსი“: აშშ-ის საიდუმლო „კოსმოსურ უპილოტო ხომალდს“ შეუძლია გამოსცადოს ლაზერის იარაღი

კოსმოსური აპარატის გაშვებას, რომელიც აპრილში მოხდა, თან ახლავს საიდუმლოების ფარდაც. მისი მიმართულება და დანიშნულების მიზანი არ გამჟღავნებულა. სამხედროები ამტკიცებენ, რომ მას ბორტზე არ გააჩნია შეიარაღება. ექსპერტების აზრით, კოსმოსური ხომალდის ძირითადი ამოცანა სამხედრო დაზვერვაა.

* * *

ინდოეთში „ბოინგის“ დაღუპვის ადგილზე, სადაც 158 კაცი დაიღუპა, აღმოჩენილია ორი „შავი ყუთი“

მოპოვებულ მონაცემებს ექნებათ გადამწყვეტი მნიშვნელობა თვითმფრინავის დაღუპვის მიზეზების გამორკვევაში. ინფორმაციის გამოკვლევას რამდენიმე კვირა დასჭირდება. უკვე ამოცნობილია და გადაეცა ნათესავებს 136 დაღუპული ცხედარი. 22 მსხვერპლის ამოსაცნობად საჭირო გახდება დნმ-ის ექსპერტები.



◎ წლები

სავსე ქართული სიდარბაისლით

თვალსაჩინო ქართველ ინჟინერ-მშენებელსა და საზოგადო მოღვაწეს გიორგი მურღულიას დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა.

რა უნდა ვთქვათ განა მის შესახებ ისეთი, თუნდაც უკვე არაერთგზის ნათქვამი, რომ სრულად წარმოვაჩინოთ მისი პიროვნული სიმაღლე და სრულყოფილება.

ვისაც კი ჰქონია ბედნიერება მასთან ურთიერთობისა, პროფესიული თუ უბრალოდ ადამიანური, ყველა ერთსულოვანია მის შეფასებაში – გიორგი მურღულია არის უდიდესი ნიჭითა და ინტელექტით დაჯილდოვებული, მაღალი რანგის პროფესიონალი, შრომისმოყვარე, ამოუწურავი ენერგიის პატრონი, მუდამ ახლის მაძიებელი, ქვეყნის სამსახურში დამაშვრალი, კეთილგანწყობილი ადამიანი.

შეუძლებელია პატარა წერილში ჩაატიო გიორგი მურღულიას ცხოვრებისა და შემოქმედების გზა, რომელიც მეტად რთული და საინტერესოა. ჯერ კიდევ ჭაბუკი, 18 წლისა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი, ომში გაიწვიეს, საიდანაც უმაღლესი მთავარსარდლის მადლობით, ორდენებით, მედლებითა და... მოუშუშებელი ჭრილობებით დაბრუნდა. ბუნებრივია, სწავლა განაგრძო და ინსტიტუტი დაამთავრა ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსის სპეციალობით. 1950 წლიდან იწყება მისი სისხლსავსე შრომითი საქმიანობა. მუშაობდა ამიერკავკასიის „სოფლელექტროპროექტში“, ქალაქის მმართველობის სხვადასხვა თანამდებობებზე, ტრესტ „ინჟმშენში“ და გაერთიანება „თბილქალაქმშენში“, იყო თბილისის საქალაქო სამჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხვადასხვა თანამდებობებზე, ქალაქის მართვის ცენტრის უფროსი, 1987 წლიდან გიორგი მურღულია საქართველოს მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტში, ჯერ მთავარ ინჟინრად, 1989 წლიდან კი მშენებლობის პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზის სამმართველოს უფროსად.



მშენებლობის სამინისტროს რეორგანიზაციის შემდეგ მას ნიშნავენ საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროსთან არსებული მშენებლობის პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზის მთავარი სამმართველოს გენერალურ დირექტორად, სადაც 2008 წლამდე მუშაობდა. 2008 წლიდან დღემდე შპს „გზაკომუნპროექტი და ექსპერტიზის“ დირექტორის მოადგილეა ექსპერტიზის დარგში.

ამ მშრალი რიცხვებისა და სიტყვების მიღმა მთელი ეპოქაა, ეპოქა აღმშენებლობისა და მუხლჩაუხრელი შრომისა მუდამ ქვეყნის სამსახურში მყოფი კაცისა. სადაც კი უმუშავია გიორგი მურღულიას, ყველგან ღრმა კვალი დაამჩნია: მუდამ გზის გამკვალავი, ახლის შემქმნელი და მიმართულების მიმცემი იყო.

მის შრომით ბიოგრაფიაში არის ორი ეტაპი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია და სადაც სრულად წარმოჩინდა გიორგი მურღულიას ნიჭი, შემართება, პრინციპულობა, უმწიკვლოება და უნარი ძლიერი ხელმძღვანელისა. ეს არის მისი მოღვაწეობის ხანა ქ. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კეთილმოწყობის სამმართველოს უფროსად და მშენებლობის პროექტების ექსპერტიზის ხელმძღვანელად. პირველ თანამდებობაზე 10, ხოლო მეორეზე 20 წლის განმავლობაში იღვაწა.

მისი საქმიანობა კეთილმოწყობის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე ძალზედ ნაყოფიერი იყო, თავად გატონი გიორგი ამ პერიოდს განსაკუთრებული სითბოთი და მიუხედავად მისი თავმდაბლობისა, ოდნავ შესამჩნევი სიამაყითაც იხსენებს. ეს ის წლებია, როცა მიმდინარეობდა ქ. თბილისში მტკვრის სანაპირო მაგისტრალებისა და სანაპირო საყრდენი კედლების მშენებლობა, რომელთა ხელმძღვანელი და უშუალო მონაწილე გატონი გიორგი იყო. მას უდიდესი შრომა აქვს გაწეული ქ. თბილისის გამწვანების, გაფორმების, განათების, საგზაო მეურნეობის განვითარებისა და საერთოდ საქალაქო მეურნეობის, სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დარგების გეგმიური სრულყოფისა და განვითარების საქმეში.

გატონი გიორგი გახლდათ ერთ-ერთი ინიციატორი და უშუალო ხელმძღვანელი ყველა იმ სპეციფიკური სამუშაოებისა, რომელთა შესრულებაც საჭირო იყო ქ. თბილისში ისეთი ქანდაკებების დასადგმელად, როგორიც არის „ქართველის დედა“, „ვახტანგ გორგასალი“, „მაჩაბლის კედელი“ და სხვა; ეს ქანდაკებები თბილისის სიმბოლოებად იქცნენ. საამაყო მართლაც ჰქონია გატონ გიორგი.

გიორგი მურღულიას მოღვაწეობა მშენებლობის პროექტების ექსპერტიზის დარგში განუზომლად დიდი და შეუფასებელია. აღნიშნული საქმიანობა ითხოვს სამშენებლო პროექტებსა და მშენებლობაში დიდ თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდილებას. აქ კი გატონ გიორგი გადალი არ ჰყავს. მისი მცდელობითა და გულისხმევით პროექტების ექსპერტიზა შემოქმედებით დონემდე ამაღლდა.

მის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული საექსპერტო დასკვნა სრულ ნდობას იმსახურებდა მშენებლობის დამკვეთის, პროექტის ავტორების, ქვეყნის მმართველი ორგანოებისა და თანამდებობების პირებისაგან. მას ანდობდნენ ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე – საიდუმლო და სტრატეგიული დანიშნულების, პროექტირებისა და მშენებლობის თვალსაზრისით ურთულესი ობიექტების ექსპერტიზას. ყველა საკანონმდებლო-ნორმატიული დოკუმენტი თუ კანონი, რომელიც ეხებოდა პროექტების ექსპერტიზას, გატონ გიორგი მურღულიას მიერ არის შექმნილი.

გიორგი მურღულიამ თავის გარშემო შემოიკრიბა საქართველოში ცნობილი მაღალი გამოცდილების მქონე მშენებლობის ექსპერტები და მისთვის ჩვეული ენთუზიაზმითა და ძალისხმევით დაუფუძნა „მშენებლობის ექსპერტთა საქართველოს ასოციაცია“ (მესა) და ის ქვეყანაში მშენებლობის განვითარების და გაძლიერების საქმეში ჩააყენა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გიორგი მურღულიას მიერ გაწეული შრომა სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის შენობა-ნაგებობათა დაცვის ღონისძიებების ხელშემწყობი დარგაზის ჩამოყალიბებაში. ამ დარგაზის თავმჯდომარე უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II გახლდათ, რომლის ლოცვა-კურთხევითაც დარგაზს გატონი გიორგი ჩაუდგა სათავეში. მისი ინიციატივით შესრულდა უმნიშვნელოვანესი სამუშაოები – არქიტექტურული, ტოპოგრაფიული, საინჟინრო-გეოლოგიური, საინჟინრო-საკონსტრუქციო, მეცნიერული და ა.შ.; ყველა სამუშაო, სწორედ გატონ გიორგი მოწოდებითა და წაქეზებით ჩატარდა უსასყიდლოდ!

გიორგი მურღულიას ცხოვრებისეული კრედოა: მინდომილი საქმისადმი სახელმწიფოებრივი დამოკიდებულება, ადამიანების თანადგომა და მათზე ზრუნვა.

გიორგი მურღულია საქმეში პრინციპული და უღალატოა, მეგობრობაში გამტანი და გვერდში მდგომი, ოჯახში ყურადღებიანი და მოსიყვარულე, სუფრასთან უებარი თამადა, კარგი მომლხენი და მომღერალი, პოეზიის დამფასებელი და მცოდნე (ცოდვა გამხელილი სჯობს – თვითონაც თხზავს ლექსებს და არცთუ ურიგოს).

ვუსურვებთ გატონ გიორგი დიდხანს სიცოცხლეს, აი ისეთს, თვითონ რომ უყვარს, – საინტერესოს, მოუსვენარს, შემოქმედებითად სავსეს! ეს საგაზეთო წერილი გვინდა დავამთავროთ თბილისის წმინდა დიდმოწამე მარინეს ტაძრის წინამძღვრის არქიმანდრიტ იოაკიმეს გატონ გიორგი-სადმი მიძღვნილი სიტყვებით: „იგი უსპეტაკესი პიროვნებაა, ადამიანი, რომელმაც ყველაფრის მიუხედავად, შეინარჩუნა ზნეობრივი პრინციპები, ქართული სიდარბაისლე, ზრდილობა და მართალი სინდისი. შინაგანი კულტურა, სულიერება და ამას დამატებული გამჭრიახობა მუდამ თან სდევდა და სდევს დღესაც ამ პიროვნებას. დარწმუნებული ვარ, უფალი დაუფასებს ყველა იმ თავდადებას, რომელიც მას გაუწევია. “

ჭეშმარიტად ასეა.

საქართველოს მშენებელთა ფედერაცია,
მშენებლობის ექსპერტთა საქართველოს ასოციაცია.

◎ დახმარება

უკვდავებასთან წილნაყარი პოეტი გაიხსენეს



თბილისის 128-ე საჯარო სკოლამ ნიკოლოზ გარათაშვილისადმი მიძღვნილ საღამოს უმასპინძლა. სპეციალურად ამ დღისთვის შერჩეულმა ჩიხტიკოპიანმა ქალბატონებმა მე-19 საუკუნის ცხოვრება კიდევ ერთხელ შეგვახსენეს.

ნიკოლოზ გარათაშვილის ლექსები და ესეები შესანიშნავად წარმოადგინეს 128-ე საჯარო სკოლის სამოცამდე მე-9-10 კლასელმა მოსწავლემ.

დიდი ქართველი პოეტის, ფილოსოფოსის, ფილოსოფიური ლირიკის ფუძემდებლისა და საზოგადო მოღვაწის შემოქმედება, ხანმოკლე ცხოვრების მიუხედავად, იმდენად დიდია, რომ მასზე თაობები იზრდებიან.

ბავშვებთან ერთად ღელავდა მათი პედაგოგი, საღამოს ორგანიზატორი მზია კიწმარიშვილი: „ვცდილობთ, მოსწავლეები სკოლის კედლებში გაეცნონ ჩვენს ღირსეულ წინაპრებს, რათა შევინარჩუნოთ ქართველობა და მოხდეს ჩვენი როგორც ერის იდენტიფიკაცია, სწორედ ჩვენი ისტორიის შესწავლა და პოპულარიზაციაა საჭირო“.

ილია ჭავჭავაძე ამბობდა: ერმა უნდა იცოდეს, სად გაჩერდა მისი წინაპარი, რომ შემდეგ შეძლოს და გააგრძელოს იქიდან გზაო, – შეგვახსენა კიწმარიშვილმა.

განსაკუთრებით ღელავდა ტატო-ნიკოლოზ გარათაშვილის როლის შემსრულებელი გიორგი აბაიშვილი: „იმდენად დაგვაინტერესა ბავშვები გარათაშვილის შემოქმედებამ, რომ მისი ყველა ლექსი და ესე თითოეულმა ჩვენგანმა ზეპირად ვიცით. ორი კვირის განმავლობაში ვაგროვებდით ინფორმაციებს ინტერნეტიდან და სხვადასხვა ლიტერატურიდან, რათა ღირსეულად წარმოგვეჩინა ნიკოლოზ გარათაშვილი. დარწმუნებული ვარ, არასოდეს დამავიწყდება მისი ლექსები“, – დასძინა მოსწავლემ.

მოსწავლეებს იმდენად შეუყვარდათ ახალგაზრდა პოეტი, რომ მის შემოქმედებასთან ერთად, სახელდახელოდ მიძღვნილი ლექსებიც წაიკითხეს.

ეს ლექსი 128-ე საჯარო სკოლის მოსწავლემ ნინო ბენაშვილმა მიუძღვნა გარათაშვილს:

„მე კი შენი ლექსის კითხვაში
სევდა მომერია, ტატო...
შენ ხომ ოცნებები დაგემსხვრა,
დარჩი სიკვდილთან მარტო“.

სტუმრებს შორის იყვნენ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ლიტერატურული სტუდიისა და სხვადასხვა სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგები.

აი, რა გვითხრა პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა მიმოზა სოსელიამ: „დასანანია, რომ საღამოს არ ესწრებოდნენ მაგისტრანტები და ახალგაზრდა პედაგოგები. ორი კვირის განმავლობაში ბავშვები ემზადებოდნენ და შესანიშნავად წარმოაჩინეს გარათაშვილის შემოქმედება. აღმაფრთოვანა მოსწავლეების დამოკიდებულებამ დიდი პოეტის მიმართ, მათმა მონდომებამ და ჩაცმულობამ. რაც ამ სცენაზე შეისწავლეს, არასოდეს დაავიწყდებათ. ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ ბავშვებმა თავად მიუძღვნეს ლექსები ტატოს“.

თინათინ ბორცვაძე

◎ ინფორმაცია

რუსეთმა „მისტრალი“ „დააგემოვნა“

რუსეთის ფედერაცია „მისტრალის“ ტიპის ოთხ გემს შეიძენს. ამის შესახებ განცხადება რუსეთის თავდაცვის მინისტრმა ანატოლი სერდიუკოვმა გააკეთა.

– რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ ესპანეთთან, ჰოლანდიასა და საფრანგეთთან „მისტრალის“ ტიპის ოთხი ავიამზიდის ყიდვის შესახებ კონტრაქტისწინა მოლაპარაკებები დაიწყო, – განაცხადა ანატოლი სერდიუკოვმა და დასძინა, რომ მათთან რუსეთი ამ ოთხი გემის ყიდვის შესახებ კონტრაქტის გაფორმებას აპირებს.

რუსეთის თავდაცვის მინისტრი ასევე აცხადებს, რომ ერთი ამგვარი გემის აგებას რუსეთი საზღვარგარეთ გეგმავს, დანარჩენ სამს კი რუსი გემთმშენებლების დახმარებით ააგებს.

– ამ საკითხით ახლა ძალიან სერიოზულად ვართ დაკავებულნი და მიმაჩნია, რომ ეს საკითხი დადებითად გადაწყდება იმ შემთხვევაში, თუ კი დაფინანსებასთან დაკავშირებული პრობლემები არ გაჩნდა, – განაცხადა სერდიუკოვმა.

რუსეთის თავდაცვის მინისტრი ასევე აცხადებს, რომ რუსეთის თავდაცვის სამინისტრო დარწმუნებულია, რომ ამ ტიპის პირველი გემები ჩრდილო და წყნარი ოკეანის ფლოტში წავლენ.

სერდიუკოვმა აღნიშნა ისიც, რომ რუსეთმა „მისტრალზე“ თავისი ვერტმფრენის საცდელი დაშვება უკვე განახორციელა.

ჯი-ეიჩ-ენი

◎ წყალბურთი

დაბრუნება 20 წლის შემდეგ

იყო დრო, „ლაგუნა ვერეზე“ მსოფლიოს საუკეთესო წყალბურთელები იყრიდნენ თავს თბილისის საერთაშორისო ტურნირზე. მიზეზთა გამო ეს შეჯიბრება ორი ათეული წელიწადია, არ გამართულა. და აი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩაზე „ოლიმპიკის“ რეკონსტრუირებულ აუზში საქართველოს, დიდი ბრიტანეთის, უკრაინისა და ბელარუსის გუნდები შეიკრიბნენ.

გულშემატკივართა და სპეციალისტთა მოწონება და მაღალი შეფასება დაიმსახურეს ჩვენმა ბიჭებმა (ზურაბ ჭუმბურიძე, ბექა ქენქაძე, გურამ კოტარია, იოვან პოპოვიჩი, მარკო კორდიჩი, ვლადიმერ მარკოვიჩი, გიორგი ხვედელიანი, მიხეილ ბაღათურია, ზურაბ რურუა, კოტე გეგელაშვილი, ტატო ნიკოლეიშვილი, ბექა ქავთარაძე, ალექსანდრე ნამორაძე, მთავარი მწვრთნელი ზვიად დავითიანი, მწვრთნელი მირიან ასათიანი), რომლებმაც პირველი მატჩი ბელარუსებთან ფრედ (7:7) დაამთავრეს, უკრაინელებსა (10:8) და ბრიტანელებს (10:7) კი სძლიეს და პირველი ადგილი დაიკავეს. გამარჯვებულ ქულით ჩამორჩნენ ბრიტანელები. მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, ბელარუსები და უკრაინელები გავიდნენ.

სურათზე: საქართველოს ნაკრები.

◎ ჭადრაკი

ამჯერად გაგუნაშვილმა გვასახელა

სასტუმრო „დიდუბის პლაზაში“ დამთავრდა თბილისის მერიის თასის მეორე გათამაშება, რომელშიც რვა ქვეყნის 191 წარმომადგენელი ცდიდა ძალებს. საპრიზო ფონდი ამჯერადაც 64 ათასი ლარი იყო. შარშან მსგავს ტურნირზე ბაადურ ჯობავამ გაიმარჯვა. ამჯერად კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი, ეროვნული ნაკრების წევრი მერაბ გაგუნაშვილი. ცხრა შესაძლებლიდან მან 7,5 ქულა მოაგროვა და მერიის თასთან ერთად 10 000 ლარიც დაიმსახურა. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით, მეორე ადგილი (6500 ლარი) სომეხ ტიგრან კოტანჯიანს ხვდა. 7 ქულით მესამე ადგილზე ლევან ფანცულაია (4500) გავიდა. ქალებში 7 ქულით უძლიერესი იყო სოფიკო ხუხაშვილი (2000 ლარი). მერიის თასის გათამაშებაზე ფულადი პრიზებით სხვადასხვა ნომინაციაში 55 მოჭადრაკე დაჯილდოვდა.

◎ სუმო

ქართული ტრიო ელიტაში

წლეულს ივლისის ბაშოზე სამი ქართველი სუმოისტი იასპარეზებს — 22 წლის ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე), 29 წლის კოკაი (ლევან ცაგურია) და ძურიოდან ელიტაში აღზევებული 23 წლის გაგამარუ (თეიმურაზ ჯუღელი).

თხუთმეტდღიანი ორთაბრძოლების შემდეგ ტოჩინოშინმა 8 შეხვედრა მოიგო და ასპარეზობა დადებითი ბალანსით დაამთავრა, მან მებრძოლი სულის პრიზიც დაიმსახურა. ძურიოში გაგამარუმ 10 პაექრობაში წარმატებას მიაღწია 5 წაგების წილ და უმაღლეს ლიგაში დაიბევა ადგილი. კოკაიმ, სამწუხაროდ, ისევ თავისი ანტირეკორდი გაიმეორა — 3 მოიგო და 12 წააგო. მაღალი რეიტინგი (მე-6 მაეგაშირა) რომ არ ჰქონოდა, უმაღლეს დივიზიონს გამოემშვიდობებოდა.

რაც შეეხება მაისის ბაშოს გამარჯვებულს, სუმოდან ასაშორიუს სკანდალურად წასვლის შემდეგ ჰაკუჰოს შემჩერებელი არ ჩანს: 25 წლის მონღოლმა თხუთმეტივე პაექრობა მოიგო და იმპერატორის თასი მეთოთხმეტედ დაიმსახურა.

◎ ძიუდო

ბრინჯაოს დასჯერდნენ

რიო-დე-ჟანეიროში ძიუდოისტთა „დიდი სლემის“ ტურნირი გაიმართა. შეჯიბრებაში სამი ქართველი სპორტსმენიც მონაწილეობდა.



81 კილოში მე-5 ადგილი დაიკავა დავით ქევხიშვილმა, რომელიც ამჟამად კანადაში სწავლობს და იქვე ვარჯიშობს. ვარლამ ლიპარტელიანმა (90) და ლომერ ჟორჟოლიანმა (100) მხოლოდ ნახევარფინალური შეხვედრები დათმეს მსოფლიოს ჩემპიონატების პრიზიორ რუს კირილ დენისოვთან და იაპონელ ტაკამასა ანაისთან. საბოლოოდ ჩვენებურები მესამე ადგილებს დასჯერდნენ და 120-120 სარეიტინგო ქულასთან ერთად 1500-1500 დოლარითაც დაჯილდოვდნენ.

◎ ფეხბურთი

ინტერინიუ

ხომ გსმენიათ, მოთმინებითა შენითაო. თითქმის ნახევარი საუკუნე ელოდნენ „ინტერის“ ქომაგნი საყვარელი კლუბის მორიგ ევროპულ ტრიუმფს და, როგორც იქნა, მოესწრნენ — ჟოზე მაურინიუს გაწვრთნილმა „შავ-ლურჯებმა“ ძლევამოსილად გაიარეს ლეგენდარული მაცოლას გაკვალული ბილიკი და ჩემპიონთა ლიგა მოიგეს.

„ინტერი“ — „ბაიერნი“ 2:0 (1:0).

გოლები: მილიტო (35-ე და 70-ე წუთები).

მსაჯი: ჰოვარდ უები (ინგლისი).

ბევრი ფრთხილ ბრძოლას ელოდა, მაგრამ ორივე გუნდმა აქტიურ თამაშს მიანიჭა უპირატესობა და როგორც პორტუგალიელი მწვრთნელის, ისე ლუის ვან გაალის შემუშავებული ტაქტიკით სცადა საწადელის მიღწევა. სხვა საქმეა, როგორ განახორციელეს იგი.

მოსწონს ეს ვინმეს თუ არა, უნდა ვაღიაროთ, რომ ინდივიდუალური ოსტატობა აპენინელებმა და, კერძოდ, მათმა ლიდერებმა — სნეიდერმა და მილიტომ ამჯერად გაცილებით ღირსეულად წარმოაჩინეს, ვიდრე რობენმა და კომპანიამ, ეს კი დიდი ბრძოლის მოსაგებად საკმარისი აღმოჩნდა.

ასე რომ, მოახლოებულ „მუნდიალს“ მილანელთა თითო-ოროლა იტალიელები და შეუდარებლად მრავალრიცხოვანი ლეგიონერები ამაღლებული განწყობილებით ხვდებიან — მათ ხომ „ჰეთ-თრიქი“ შეასრულეს (სკუდეტო, ქვეყნის თასი და ჩემპიონთა ლიგა).

◎ ძალოსნობა

სამი მედალი ვალენსიიდან

თავიდანვე ასე იყო დაგეგმილი — საქართველოს ექვსკაციან ნაკრებს ვალენსიაში 17-წლამდელ ძალოსანთა ევროპის პირველობაზე სამი მედალი უნდა მოეპოვებინა. ვარაუდი გამართლდა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა მძიმეწონოსანი ლაშა ტალახაძე, რომელმაც ორჭიდში 345 კილოგრამი (158+187) მოაგროვა. მანვე ცალკეულ მოძრაობებშიც მცირე ოქროს მედალი დაიმსახურა. საგულისხმოა, რომ ცნობილი საჩხერელი ძალოსნის — კობა ტალახაძის ვაჟი წლეულს აგვისტოში მსოფლიოს ახალგაზრდობის პირველ ოლიმპიურ თამაშებშიც მოსინჯავს ძალებს. ეს შეჯიბრება კი სინგაპურში გაიმართება.



ვალენსიაში საქართველოს სპორტულ დელეგაციას მეორე ბრინჯაოს მედალი (პირველი 56 კილოში ქუთაისელ მიშველიძეს ერგო) ჭაბუკებში შარშანდელმა ევროპის ჩემპიონმა ვილიამინ ალექსიძემ (94) მოუტანა. მან 140 კილო აიტაცა და 181-კილოგრამიანი შტანგა აკრა. მეორე ადგილზე გასულ ბელარუს ალექსანდრ ვენსკელს ქართველი სპორტსმენი მხოლოდ ერთი კილოთი ჩამორჩა. ტურნირის გამარჯვებულმა თემურ ნანიევმა (რუსეთი) კი 6 კილოთი გაუსწრო, არადა, შარშან ვილიმ მას 10 კილოთი აჯობა.

სურათზე: ლაშა ტალახაძე

◎ ტაბლო

ჰოკეი

მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალური შეხვედრა. ჩეხეთი — რუსეთი 2:1. ოკოუნისა და იაგრეს გარდა, ჩეხები ტურნირში მეორე შემადგენლობით თამაშობდნენ, თუმცა ნხლ-ს ვარსკვლავებით გაძეძგილ მეტოქეს გადამწყვეტი ბრძოლა მაინც მოუგეს. სხვათა შორის, ვლადიმერ რუჟიჩკას გუნდმა წინა ეტაპებზე შვედებსა და ფინელებს ბულიტების სერიაში სძლია.

მატჩი III ადგილისთვის. შვედეთი — გერმანია 3:1.

სტენლის თასის გათამაშება. ნახევარფინალი. „ჩიკაგო“ — „სან ხოსე“ 4:2. მასპინძლებმა სერიაში 4:0 გაიმარჯვეს და დასკვნით რაუნდში „მონრეალსა“ და „ფილადელფიას“ შორის უძლიერესს შეხვდებიან.

რაგბი

ევროპის ლიგის ფინალი. „ტულუზა“ — „ბიარიცი“ 21:19.

ჩელენჯერის ტურნირის ფინალი. „კარდიფი“ — „ტულონი“ 28:21.

◎ ინტერნეტიდან

რატომ აიარაღებენ სპორტსმენებს?

რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ ნება დართო სპორტსმენებს საკუთარი ფულით იყიდონ ცეცხლმსროლელი კუთხვილიანი (ჭდეული) იარაღი. ადრე ასეთი უფლება ჰქონდათ მხოლოდ სპორტულ ორგანიზაციებს, იურიდიულ პირებსა და ინდივიდუალურ მეწარმეებს.

გასულ პარასკევს მიღებული კანონით ასეთი იარაღის ყიდვის უფლება ეძლევა მოქალაქეებს, ვისაც აქვს სპორტული პასპორტი ან სპორტული წოდების დამადასტურებელი მოწმობა.

2008 წელს პეკინის ოლიმპიადის წინ აშშ პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა სპეციალურად გააუქმა ცალკეული აკრძალვები, ჩინეთში იარაღის და სხვა საბრძოლო ტექნიკის გატანას რომ ეხებოდა, თუმცა თამაშების დამთავრების შემდეგ ეს იარაღი აუცილებლად უნდა დაბრუნებულიყო ამერიკაში.

აი, რუსეთში კი რა როგორ იქნება, ჯერჯერობით უცნობია. საკითხავია, რად უნდათ იარაღი ფეხბურთელებს, რუსეთის სპორტის დამსახურებულ ოსტატებს. მათ ინტერვიუს მოთხოვნისას ვის უნდა ესროლონ — ჟურნალისტებს ხომ არა? შეჯამებებში დამარცხების შემთხვევებზე აღარაფერს ვამბობთ და არც მეზობელ ქვყენებთან „მეგობრულ“ ურთიერთობებზე.

სტრიპტიზი დამარცხებისასაც შეიძლება

ჩვენ არაერთხელ დაგვიწერია იტალიის დედაქალაქის ფეხბურთის გუნდის „რომას“ ლამაზმანი გულშემატკივრის საბრინა ფერილის შესახებ. ის, კარგა ხანია, იმუქრება, რომ თუკი „რომა“ ჩემპიონი გახდება, საჯარო სტრიპტიზს გავმართავო, მაგრამ, „რომა“ ვერ გაჩემპიონდა და ქალიშვილიც არ გატიტვლებულა.



თუმცა მას უკვე გამოუჩნდა მეტოქე — ნიკოლ ბრაუნი (ფოტოზე), რომელიც აცხადებს, მიუხედავად იმისა, რომ ტოტემ და მისმა თანაგუნდელებმა ვერ დაიკავეს პირველი ადგილი, მაინც მზადაა, გაშიშვლდეს საყვარელი გუნდისთვის. „რომა“ — ეს ჩემი გატაცებაა, რომაელები მუდამ ფიქრობენ მომავალზე. ვფიქრობ, ისინი ახლაც ალბათ უკვე ფიქრობენ მომავალ სეზონში სკუდეტოს მოგებაზე. ღმერთმა კარგად აუხდინოთ მათაც და [illegible]ის საყვარელ [illegible]ნდსაც!

სხვადასხვა

განმარტება

საქართველოს უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციების სკოლაში 2007 წლიდან სასწავლო პროგრამაში შეტანილი იქნა საგანი „მსოფლიო ჟურნალისტიკის ისტორია“. ვინაიდან სტუდენტებისათვის ზემოაღნიშნული სასწავლო კურსის მომცველი ქართულენოვანი სახელმძღვანელო არ მოიპოვებოდა, ხოლო სახელმძღვანელო აუცილებელი იყო, ჟურნალისტიკის სკოლის დაკვეთით შეიქმნა სასწავლო კურსი, რომელშიც სხვა მრავალ მოპოვებულ მასალათაგან თითქმის უცვლელად იქნა გამოყენებული მონაკვეთები ბატონ თამაზ ჯოლოგუას მიერ შედგენილი და ჯერ გამოუცემელი სალექციო კურსიდან. კერძოდ, XIX საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან (ნაკვ. I), რომელიც ჩვენს სახელმძღვანელოში მოიცავს მეხუთე ნაწილის მეორე თავს (მაია მაჭავარიანი „ჟურნალისტიკის ისტორია“ თბ. 2009. გვ. 255-303, 316-324). ჩვენ იმედი გვქონდა, რომ მოესწრებოდა თ. ჯოლოგუას წიგნის გამოცემა, მაგრამ მოხდა წინსწრება – ჯერ გამოვიდა ჩვენი სახელმძღვანელო. მოხდა სამწუხარო ფაქტი – თ. ჯოლოგუას სახელმძღვანელოს გამოყენება ავტორის ნებართვის გარეშე, რისთვისაც ბოდიშს ვუხდით ბატონ თამაზს.

იმედს ვიტოვებთ, თ. ჯოლოგუას სახელმძღვანელოს გამომცემლები გაითვალისწინებენ ამ განცხადებას და არ დაზარალდება ბატონ თამაზ ჯოლოგუას საავტორო უფლება.

მაია მაჭავარიანი

◎ ინფორმაცია

ვინ გაანადგურა სოფიოს საარჩევნო პლაკატები?

„ალიანსი საქართველოსთვის“ კრწანისის მაჟორიტარობის კანდიდატი სოფიო ხორგუანი შს მინისტრ ვანო მერაბიშვილს და საპატრულო პოლიციის უფროს გიორგი გრიგალაშვილს მიმართავს.

ხორგუანი მათგან მისი საარჩევნო პლაკატების „მასობრივი განადგურების“ ფაქტების გამოძიებას მოითხოვს, – საქართველოს საარჩევნო კოდექსის 75-ე მუხლის 4 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია და კანონით ისჯება საარჩევნო პლაკატების ჩამოხსნა, ჩამოხევა, დაფარვა და დაზიანება, ასევე ამავე კოდექსის 126-ე მეცხრამეტე პრიმა მუხლის თანახმად, წინაასაარჩევნო მოწოდებებისა და მასალების გავრცელებისთვის ხელის შეშლა გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით. რეფორმირებული სამართალდამცავი სტრუქტურები სამართლიანობის, კანონიერებისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვის სადარაჯოზე უნდა იდგნენ. დაუშვებელია პოლიციის პოლიტიზირება. ამიტომაც მომხდარ ფაქტებზე რეაგირებას ვითხოვთ, – განაცხადა ხორგუანმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე.

ყალბი დოკუმენტების დამამზადებლები დააკავეს



სამართალდამცველებმა ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება-გასაღების ფაქტზე რამდენიმე პირი დააკავეს.

გამოძიების ინფორმაციით, ზაზა და კახა მუკბანიანები, გიორგი ბარნაბიშვილი, გრიგოლ მაცაბერიძე, მალხაზ ქიტიაშვილი, ლევან ფირცხალავა, ლევან და რეზო ჩორგოლეიშვილები და ერემი მუჯირი ქრთამის სანაცვლოდ ყალბ ზედნადებებსა და ქვითრებს ამზადებდნენ.

ოფიციალური ინფორმაციით, მათ ყალბი სალაროს ქვითრები და სხვა საგადასახადო დოკუმენტი 1 მილიონი ლარის ღირებულების პროდუქციაზე გამოწერეს.

სამართალდამცველებმა ჩხრეკის შედეგად ამოიღეს დაურეგისტრირებელი სალარო აპარატები და ყალბი ბეჭდები.

ეჭვმიტანილებს ორიდან შვიდ წლამდე პატიმრობა ემუქრებათ.

ბანკის თანამშრომელს ფულს სძალავდნენ

ვაკის რაიონის პოლიციამ ფულის გამოძალვაში ეჭვმიტანილები დააკავა.

დაკავებულია გიორგი მორჩილაძე და ლაშა ლომიძე.

გამოძიების ინფორმაციით, ისინი სამი წლის განმავლობაში სისტემატურად სძალავდნენ ფულს ერთ-ერთი ბანკის თანამშრომელს.

ორივე ეჭვმიტანილს აღნიშნული პიროვნებისთვის მთლიანობაში 30 ათას ლარამდე თანხა აქვს გამოძალული.

გავრცელდა ფარული ჩანაწერიც, სადაც სჩანს თუ როგორ ართმევენ თანხას დაზარალებულს გიორგი მორჩილაძე და ლაშა ლომიძე.

დაკავებულებმა დანაშაული აღიარეს.

ავტოკატასტროფა ქუთაისთან მსხვერპლით დასრულდა

ქუთაისი-ზესტაფონის დამაკავშირებელ ავტომაგისტრალზე ორი ავტოავარია მოხდა, რომელთაგან ერთს მსხვერპლი მოჰყვა.

გზაზე ერთმანეთს მიკროავტობუსი და „ჯიპი“ შეეჯახა, მიკროავტობუსში სავარაუდოდ, უცხოელები იმყოფებოდნენ.

ამ ეტაპზე არსებული ინფორმაციით, დაღუპულია მიკროავტობუსში მყოფი სამი მგზავრი.

აღნიშნული შემთხვევიდან ერთი საათის შემდეგ კი, რამდენიმე მეტრის მოშორებით, ერთმანეთს ორი მიკროავტობუსი შეეჯახა. დაზარალებულები ქუთაისის ინტერვენციული მედიცინის ცენტრში გადაიყვანეს. დაშავებულთა შორის ერთი მცირეწლოვანი ბავშვია, რომლის მდგომარეობაც მძიმეა.

ХО-ЭОВ-ЭЕО

◎ პოზიცია

ინდიფერენტიზმი თუ...

ბორბტი თესლივით მოედო ინდიფერენტიზმი ჩვენს საზოგადოებას. ზეიმობს სიზარმაცე, თავის შეუწუხებლობა, შიში, გულქვაობა, არ გათავისება სხვისი უბედურებისა. ვამჯობინებთ საკუთარ ნაჭუჭში, ტყუილში ყოფნას, თვალს ვხუჭავთ უსამართლობაზე, ვერ ვაცნობიერებთ ჩვენი არსებობის ნამდვილ აზრს, მოვალეობას, ველოდებით გარედან მხსნელს, ვაზროვნებთ ვიწრო, ყალბი პატრიოტული ინტერესებით და არა ეთიკური და სახელმწიფოებრივი პრინციპებით.

სწორედ ამ დროს ხდება საზოგადოების ბრბოდ, ჯოგად გადაქცევა, იგი უკვე ადვილად მართვადია ავანტიურისტული ხელისუფლების მიერ. რაც უფრო პასიური, გაუნათლებელი არიან ადამიანები, მით უფრო ძლიერი არიან ე. წ. პოლიტიკოსები, რომელთა პოლიტიკა ხდება თაღლითური, ფარისევლური, მატყუარა. პოლიტიკოსები ვერ ეგუებიან განათლებულ, ღირსეულ ადამიანებს. განა ამიტომ არ დასაჯეს ქრისტე, განა ამიტომ არ აიძულეს სოკრატე შეესვა სანამლავი?

ინდიფერენტიზმთან დაკავშირებით მინდა შეგახსენოთ ჯონ კენედის სიტყვები წინასაარჩევნო ინტერვიუდან: „მაშფოთებენ ადამიანები, რომლებიც ამჯობინებენ გვერდზე დგომას, ჩაურევლობას მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოვლენების გადაწყვეტის საქმეში“.

ინდიფერენტიზმი მეტად საშიში მოვლენაა საზოგადოებრივი ურთიერთობების, სახელმწიფოებრივი პრობლემების სწორად წარმართვის სფეროში.

ინდიფერენტიზმი ტოლფასია სახელმწიფოს ღალატისა.

ლონდა მდივანი

◎ მოსაზრება

შუაფხოს სკოლას — მეტი ყურადღება!

მიმდინარე წლის 23 აპრილს შუაფხოს საჯარო სკოლაში PISA-ს პროგრამით უნდა ჩატარებულიყო 1994 წელს დაბადებულ მოსწავლეთა ტესტირება.

გამოცდების ეროვნულ ცენტრში მივიღე ტესტირებისთვის საჭირო დოკუმენტაცია და 22 აპრილს შუაფხოს ავტობუსით გავემგზავრე. მძღოლი ზაზა ჯაბანაშვილი სკოლის დირექტორის მეუღლე აღმოჩნდა.

საკმაოდ მომქანცველი მგზავრობის შემდეგ ჩავედით ადგილზე. დაღამდა, დაიწყო წვიმა. ღამის გასათევად ზაზამ სახლში მიგვიწვია. აღმოჩნდა, რომ მის ახალგაზრდა ოჯახს 7 ერთმანეთზე უკეთესი ბავშვი ჰყოლია. ყველა ძალიან თბილად შეგვხვდა. ამავე ოჯახში ცხოვრობს საჯარო სკოლის 2 ახალგაზრდა მასწავლებელი. მეორე დღისთვის დავგეგმეთ ტესტირების დრო.

1994 წელს დაბადებული მოწაფე სკოლაში მხოლოდ 2 აღმოჩნდა. სულ სკოლაში დაახლოებით 20-მდე ბავშვი ყოფილა. გადაუღებლად წვიმდა მთელი ღამე. დილით 10 საათზე მასპინძელმა სკოლაში გამიყვანა. თქვენ წარმოიდგინეთ, მაშინვე უსიამოვნო შთაბეჭდილება შემექმნა. სკოლის შენობა ადრე სხვა დანიშნულების (კოლმეურნეობის კანტორა) ყოფილა. ძალიან ცუდ პირობებში იმყოფებიან ბავშვები. შენობას აქა-იქ შემორჩენილი აქვს ფარღალალა ფანჯრები, ზარის მაგივრობას მანქანის დისკი ეწევა. ეს უსიამოვნო შთაბეჭდილება რამდენადმე გააქარწყლა მასწავლებლისა და ამავე დროს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი ტერუნაშვილის საქმიანმა და გულთბილმა დახვედრამ. სამუშაოდ გამოგვიყვეს შედარებით თბილი ოთახი. ტესტირება უნდა ჩამეტარებინა 1994 წელს დაბადებული 2 მოსწავლისთვის.

PISA – მოსწავლეთა საერთაშორისო შეფასების პროგრამაა, რომელიც ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების მსოფლიო ორგანიზაციის მხარდაჭერით (OECD) ხორციელდება, ეს კვლევა 2000 წლიდან მიმდინარეობს. PISA, ამ სახის კვლევებს შორის, რიგით მეოთხეა, მასში 60-ზე მეტი ქვეყანა იღებს მონაწილეობას, რაც საგანმანათლებლო სფეროში ყველაზე ფართომასშტაბიანი საერთაშორისო კვლევაა. კერძოდ, იგი აფასებს მოსწავლეთა დონეს კითხვის უნარში, მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებაში, აფასებს აგრეთვე მოსწავლის მზადყოფნას ცხოვრებისთვის. ძირითად კვლევაში, თითოეული ქვეყნიდან, ჩვეულებრივ, 4500-დან 10 000-მდე 15 წლის მოსწავლე მონაწილეობს.

კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებული იქნეს: იმის გასაგებად, თუ როგორ არიან მომზადებული მასში მონაწილე მოსწავლეები მომავალი აკადემიური საქმიანობისათვის, განსაკუთრებით სკოლის დამთავრების შემდეგ. ეს შედეგები საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ ის საკითხები, რომლებიც სკოლის პირობებში საჭიროებს გადაჭრასა და გაუმჯობესებას როგორც განათლების სამინისტროს, ისე მთავრობის მიერ. ეს კვლევა საშუალებას გვაძლევს, შევადაროთ სხვადასხვა ქვეყნის მოსწავლეთა შესაძლებლობანი და სასწავლო გარემო.

2 საათის განმავლობაში მოსწავლეებმა შეავსეს ტესტის თითო ბუკლეტი 10-წუთიანი შესვენების შემდეგ კი – მოსწავლის კითხვარები. მოსწავლეები პასუხისმგებლობით მოეკიდნენ ტესტირებას, თითქმის ყველა კითხვას გასცეს პასუხი.

ამინდი საგრძნობლად გაფუჭდა, დავემშვიდობე მასპინძლებს. დავბრუნდი თბილისში. კარგა ხანს ვფიქრობდი და ვაანალიზებდი შუაფხოს საჯარო სკოლაში ნანახს, მოსმენილს. აქ ყველაზე მთავარი და საშურია სწავლების პირობების გაუმჯობესება: კერძოდ, სკოლის შენობის კაპიტალური შეკეთება, ინტერნეტით უზრუნველყოფა. ამასთანავე მიზანშეწონილად მიმაჩნია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ პრაქტიკაში დანერგოს მოსწავლეთა გაცვლის პროგრამა ქალაქისა და სოფლის სკოლებს შორის, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ბუნების საერთო ჰარმონიულ განვითარებას.

გოგი მეიშვილი,
გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის კოორდინატორი, საქართველოს უნივერსიტეტის საჯარო სკოლის პედაგოგი.

განცხადება

სს „ელექტრონიკა-94“ ა/წ 22 ივნისს 15 სთ-ზე კ. გამსახურდიას №14-ში ატარებს აქციონერთა საერთო კრებას.

დღის წესრიგში:

1. 2008 წლის 31 დეკემბრიდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე საბუღალტრო ანგარიში. მომხს. გ. ჩიქოვანი.
2. ზოგიერთი ადმინისტრაციული საკითხები.

მომხს. ვ. ხიხელაშვილი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის №1 სტომატოლოგიური კლინიკის თანამშრომლები გულწრფელად უთანაგრძნობენ ქეთევან კანდელაკსა და ნოდარ ბერეკაშვილს
შვილის
ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

ბოლო გვერდი

ბატონ თენგიზ კალანდაძეს



ვულოცავთ სიცოცხლის წლების გაშვიდათეულებას

ძვირფასო თენგიზ, შენი ცხოვრების მთავარ მიზნად მუდამ სიკეთის ქმნა გქონდა დასახული, შენთვის მუდამ უცხო იყო მეორე ადამიანის მიმართ გულგრილობა, სხვისი ჭირი არასოდეს არ ყოფილა შენთვის ღობეს — ჩხირი. ამიტომაც არის, რომ ესოდენ ბარაქიანი სიყვარულის რთველი დაგიდგა. შენი მეგობრები და კეთილისმსურველნი სწორედ ამ სიყვარულის ღვინით სავსე ფიალებს ვწევთ და გადღეგრძელებთ შენს ლამაზ დიდ ოჯახთან ერთად, გულწრფელად მადლიერნი ვართ შენი გუშინდელი საზოგადოებრივი ნაღვაწვისთვის და იმედი გვაქვს, რომ ხვალ და ზეგ კიდევ უფრო უხვ სიყვარულსა და პატივისცემის მოსავალს მოიმკი.

ღმერთმა ხელი მოგიმართოს და გაჯანმრთელოს შენი ქვეყნისა და შენი მოსიყვარულე ადამიანების საკეთილდღეოდ.

მეგობრები, ახლობლები

დღის კალენდარი — 25 მაისი

ეპიფანე კვიპრელი ეპისკოპოსისა (403); გერმანე კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა (740); საბინე კვიპრელი მთავარეპისკოპოსისა (V) და პოლუბისა, რინოკირელი ეპისკოპოსისა (V) მღვდელმოწამისა ერმოგენისა, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქისა (1913).

ამოდის 04.35 ჩადის 19.20

ამოდის 13.21 ჩადის 10.02

დაიბადნენ:

1599 — ოლივერ კრომველი, ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის მოღვაწე, ლორდ-პროტექტორი გარდაიცვალა 1658 წელს.

1696 — ვახუშტი ბაგრატიონი, ქართველი გეოგრაფი, კარტოგრაფი და ისტორიკოსი.

1802 — იოჰან ფრიდრიხ ბრანდტი, ზოოლოგი, 1876 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. გარდაიცვალა 1879 წელს.

1803 — რალფ ემერსონი, ამერიკელი ფილოსოფოსი, პოეტი. გარდაიცვალა 1882 წელს.

1884 — ჟან რიშარ ბლოკი, ფრანგი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1947 წელს.

გარდაიცვალნენ:

1681 — კალდერონ დე ლა ბარკა, ესპანელი დრამატურგი.

1911 — ვასილი კლუჩევსკი, რუსი ისტორიკოსი.

მოვლენები:

ჩვ.წ.აღ-მდე 5493 — ალექსანდრიული ქრონოლოგია ამ დღეს სამყაროს შექმნის დღედ მიიჩნევდა.

1895 — ოსკარ უაილდი ლონდონის სასამართლოში გაასამართლეს ამორალური საქციელის გამო და რედინგის ციხეში ჩასვეს.

1946 — იორდანიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

1963 — ადის-აბებაში დაარსდა აფრიკის ერთობის ორგანიზაცია.

1973 — გაუშვეს ამერიკული კოსმოსური ხომალდი „აპოლონ-ს აილებ-2“.

1989 — გაიხსნა საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატების ყრილობის I სხდომა.

ღირსსახსოვარი დღეები:

აფრიკის განთავისუფლების დღე.
იორდანია — დამოუკიდებლობის დღე.
სუდანი — რევოლუციის დღე.
დიდი ბრიტანეთი — აღინიშნება გაზაფხულის დასრულება.

მედიანუსი

დაიჯესტი

ბრმა შემოქმედი

უკრაინაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ტანსაცმლის დიზაინერი სერგეი ერმაკოვია, რომელიც მოდურ ჩვენებებს აწყობს და მაღალი საზოგადოების წვეულებებზე დადის მიუხედავად იმისა, რომ თვალისჩინი, პრაქტიკულად, დაკარგული აქვს.



იგი კიევის ცენტრში ერთოთახიან ბინაში ცხოვრობს, თუმცა დედა და რომელიმე მეგობარი მუდამ მის გვერდით არის. თერთმეტი წლიდან სერგეის შაქრიანი დიაბეტი აქვს, რა მიზეზითაც მას თვალების სისხლძარღვები დაუსკდა. ექიმებმა — რვა ოპერაციის შემდეგ! — მხოლოდ მარცხენა თვალის შენარჩუნება შეძლეს. ამას ისიც დაემატა, რომ იმ დროს, როცა მას ყველაზე მეტად სჭირდებოდა ახლობლების მხარდაჭერა, ცოლმა მიატოვა.

— საავადმყოფოდან დაბრუნებულმა საკუთარ თავს პირობა მივეცი, რომ აუცილებლად გავხდები სახელოვანი და მდიდარი, — ამბობს სერგეი. სახელი მან უკვე მოიხვეჭა, მისი კოლექციის ჩვენებებს ესწრება კიევის მთელი მაღალი საზოგადოება, მოსკოვის რუბლიოვკელი კლიენტები, რეპორტიორები. იგი უარს ამბობს კომერციული ტანსაცმლის შეკერვაზე, რის გამოც თავის კომპანიონ ქალბატონთან უთანხმოება მოუვიდა, რომელსაც მიაჩნდა, რომ კრიზისის დროს არავის სჭირდება საარაკოდ ძვირი ბეწვის ქურქები და ბრილიანტებით გაწყობილი სალამოს კაბები. არადა ერთბაშად რვა ასეთი კაბა მისმა ერთმა მუდმივმა კლიენტმა ქალბატონმა იყიდა და თავის დაბადების დღეზე რიგრიგობით... რვავე ჩაიცვა!

15 წელია მას მკერავი ქალების კოლექტივი ჰყავს, რომელთან მუშაობის თავისებური სტილი შეიმუშავა: იგი უბრალოდ მანეკენს ქსოვილს მოაგდებს და თანამშრომლებს უხსნის, თუ რა ფასონი უნდა ჰქონდეს მომავალ სამოსელს. ისინიც ყურადღებით აკვირდებიან კუტურიეს ხელების მოძრაობას და უშეცდომოდ ასხამენ ხორცს მის ფანტაზიებს.

ამინდი დღეს

თბილისი.	+14 — +26
ქუთაისი.	+18 — +29
ბათუმი.	+14 — +24
ზუგდიდი.	+16 — +26
თელავი.	+14 — +24

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

1 აშშ	— 1.7839 ლარი
1 ევრო	— 2.2461 ლარი
1 გირ. სტ.	— 2.6357 ლარი
100 რუბლი	— 5.9743 ლარი
1000 სომ. დრამა	— 4.5803 ლარი
1 აზ. მან.	— 2.2199 ლარი
10 უკრ. გრივნა	— 2.2507 ლარი
1 თურქ. ლირა	— 1.1742 ლარი
10 ჩინ. იუანი	— 2.6127 ლარი

ანეკდოტები

სამყარო შექმნა ღმერთმა. ყველაფერი დანარჩენი ჩინეთშია დამზადებული.

* * *

ოპტიმისტი ამბობს, რომ ბოთლი ნახევრად არის სავსე, პესიმისტის აზრით, ბოთლი ნახევრად ცარიელია, რეალისტი კი ახალი ბოთლის საყიდლად მაღაზიაში მიდის.

* * *

სპეციალისტს კონკურენტ ფირმაში იწვევენ სამუშაოდ. მან არ იცის, როგორ მოიქცეს. ფიქრით დატანჯული საღამოს ლოცვაში ღმერთს სთხოვს:

— ღმერთო, ისე ჰქენი, რომ ამ საღამოს დაიწვას ის ფირმა, რომელშიც მე თავს უარესად ვიგრძნობ.

* * *

ორი რწყილი მელოტ თავზე სეირნობს. გახსოვს, — ეუბნება ერთი მეორეს, — ადრე აქ ერთმანეთს დამალობანას რომ ვეთამაშებოდით?

კადრი

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19. „საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით ალმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძიბულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.